პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
ტფილისი, კრუზენ. ქ.
№ 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე-2 სართული ტელეფ. 5—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—50 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 64 ხუთშაბათი, 22 მარტი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000 მან. № 64

დღიური

მენშევიკების მეორე სტამბის აღმოჩენა ტფილისში.

რუსეთში: ამხ. ლენინის ჯამრთელობის [illegible]დება, ესერთა პარტიის ყრილობა მოსკოვში, პარტკონფერენცია ციმბირში და ტურკესტანში.

შვეციაში: პროტესტები რურის ოკუპაციის გამო, სოციალ-დემოკრატები პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

ამერიკაში: საბჭოთა რუსეთის ცნობისათვის.

საქართველოს კ. პ. ტფ. კომიტეტი

წინადადებას იძლევა პარასკევს ა. წ. 23 მარტს, ერთიან პარტიულ დღეს დაყენებულ იქნას დღის წესრიგში:

„მენშევიზმის გახრწნა“.

თეზისები იხილეთ გუშინდელ ნომერში

თფ. კ. მდივნის მაგიერ რუბენი.

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა მე-2 ყრილობის მოწოდება საქართველოს, სომხეთისა და აზერბეიჯანის ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა წევრებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენ შეისისხლხორცეთ ის საუკეთესო, რაც მოიპოვება რევოლიუციონურ ახალ თაობაში. თქვენ ხართ მატარებელი მისი ენტუზიაზმის, ცხოველმყოფელობისა და კომუნისტურ რევოლიუციის საქმისადმი თავდადებულ ერთგულებისა. თქვენი ორგანიზაციათა განვითარების არა მრავალრიცხოვან წლების განმავლობაში თქვენ დაამტკიცეთ ეს წარმატებითი მუშაობით. მუშათა ახალგაზრდობა, ახალგაზრდა გლეხობისა და მოსწავლეთა საუკეთესო ნაწილი მოგყვებათ თქვენ, ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს. თქვენი მუშაობის მეოხებით ჩვენი პარტია ჭეშმარიტი პატრონია მშრომელ ახალგაზრდობისა.

თქვენმა კომუნისტურმა კავშირმა დიდი ამოცანები შეასრულა, რასაც ღრმა კმაყოფილებით აღვნიშნავთ ჩვენ—თქვენი უფროსი ამხანაგები—ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების მე-2-ე ყრილობა.

მაგრამ კიდევ მეტათ საპასუხისმგებლო და რთული ამოცანები დგანან თქვენს წინაშე ახალ თაობის კომუნისტურ ორგანიზაციის წინ.

ჩვენი ბრძოლა, ბრძოლა მუშათა კლასის მჩაგვრელთა წინააღმდეგ ჯერ არ დასრულებულა. წინ—მძიმე ბრძოლაა, წინ—გადამწყვეტი შეტაკებებია, მომავალში—მძიმე და რთული მუშაობა—კომუნიზმის აღმშენებლობა მოგელის.

ჩვენ—მუშათა რევოლიუციის ძველი გვარდია ვართ. ჩვენ ავიტანეთ და ვიტანთ კიდეც რევოლიუციონურ ქარიშხლის პირველ სიმძიმეს. თქვენი ვალია—დაასრულოთ ის.

თქვენი ვალია—აიტანოთ ბრძოლის შემდეგი სიმძიმენი. თქვენი ვალია—დაასრულოთ კომუნის შენობა, რომლის საძირკველი განმტკიცებულია თქვენი უფროსი ძმათა და ამხანაგების გვამებითა და სისხლით.

თქვენი ამოცანაა—მოამზადოთ იმ დიდ და სახელოვან საქმისათვის, რომლის ასრულება რამოდენიმე წლის შემდეგ სავსებით და მთლიანათ თქვენი ხვედრი გახდება. თქვენი ამოცანაა—მოამზადოთ მთელი ახალი თაობა იმ ბრძოლისათვის კომუნის დასამყარებლათ, რომელიც მოელის მას მომავალში.

არც ერთი მუშა-ჭაბუკი არ უნდა დარჩეს თქვენ რიგებს გარეშე. მთელი პროლეტარული ახალგაზრდობა უნდა დაირაზმოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის რიგებში. თქვენი ამოცანაა—თქვენი მუშაობითა და გავლენით გადაახალისოთ მთელი ახალგაზრდობა, რათა ის იქნეს სავსებით „წითელი“, რევოლიუციონური, მუშათა კლასის საქმისათვის საბრძოლველად გამზადებული, უფრო ღრმად და მაგრად ჩაასვით პალო მუშათა კლასის მოღალატე მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატელების საფლავში. თქვენი—ახალგაზრდობის კომკავშირის წევრთა ვალია აღმოფხვრათ ძირიანად სოციალ-მოღალატეთა მემკვიდრეობა—ერთა შორის შუღლი და მტრობა. თქვენზე—პროლეტარულ ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლებზეა დამოკიდებული არ მისცეთ საშვალება მუშათა რევოლიუციისა და კომუნიზმის მტრებს ნაციონალიზმის შხამით მოსწამლონ ამიერ-კავკასიის ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის ახალგაზრდობა.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბეიჯანის მთელი ახალგაზრდობა უნდა წარმოადგენდეს მთლიან ძმურ ოჯახს, რომლის ფიქრი და ზრახვანი მიმართული იქნებიან მხოლოთ ერთი მიზნისაკენ:—მუშათა საქმისა და კომუნიზმისათვის.

ამხ. ახალგაზრდა კომუნისტებო, თქვენ იერიში მიგაქვთ ცაზე, აფეთქებთ ღმერთს. ასევე მძლავრათ ებრძოლეთ უგუნურებას, ასევე გაბედულათ ააფეთქეთ სოფლის ცრუმორწმუნოება, სიბნელე და ჩამორჩენილობა.

ჩვენ, კომუნისტური პარტია თქვენ, ახალგაზრდათა კომკავშირს დიდ ამოცანებს გიყენებთ. ის ბრძოლა, რომელიც თქვენ მოგელით, კომუნიზმისადმი მხურვალე ერთგულებისა და რევოლიუციონურ ენტუზიაზმის გარდა, მოითხოვს თქვენგან კიდევ ერთ რამეს—ცოდნას. გარდა იმისა, რომ ძლევამოსილია მუშათა კლასი, ძლევამოსილია მისი პარტიაც—კომუნისტური პარტია, რადგან მან კარგათ შეითვისა კარლ მარქსის დიადი მოძღვრება—მისი ბრძოლის ძლიერი იარაღი. ჩვენი აღთქმა—აღთქმა თქვენი უფროსი ამხანაგებისა—არის: ისწავლეთ, „ახალგაზრდა კბილებით დაღრღენით მეცნიერების სალი-კლდე“ ეცადეთ მიიღოთ რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეითვისეთ უძვირფასესი მიღწევანი კომუნისტურ პარტიისა, დიადი ძველი ბოლშევიკურ გვარდიის ტრადიციები. აიზარდეთ, გამოიბრძმედეთ მათი მიხედვით მომავალი ბრძოლისათვის.

ამიერ-კავკასიის კომპარტიების მე-2 ყრილობა გპირდებათ თქვენ—მათ რეზერვებს—თქვენი მუშაობის დახმარებას, თქვენი ამოცანათა განხორციელებისათვის სრულ ყურადღებას, აღგითქვამს თქვენ აქტიურ და მხურვალე დახმარებას.

გახსოვდეთ, ამხანაგებო, თქვენი ამოცანები, რომლებსაც გიყენებენ ჩვენი პარტია და პროლეტარიატი.

გულმოდგინეთ და მტკიცეთ სჭედეთ საიმედო რეზერვები.

იმპერიალიზმის პოლიტიკა

როდესაც ვერსალის „სამშვიდობო ელშეკრულების“ ძალით დამარცხე- ულ გერმანიას თავზე მოახვიეს სა- ონტრიბუციო გადასახადები, რომე- იც უდრიდა დაახლოებით ნახევარს თელი მისი ნაციონალური სიმდი- რისას, ყველა იყო დარწმუნებული პირველ რიგში ამ ხელშეკრულე- ის ავტორები, რომ ამ ვალს ვერ მოუდგებოდა ფეხზე დამარცხებული ვეყანა, ისედაც დასუსტებული ომის რჯებით. და როდესაც შემდეგ ამ ლის რაოდენობა შემცირებულ იქ- ეს მოხდა არა გამარჯვებულთა რო- ლიმე „კაცთმოყვარეობითი გრძნო- თ“, არამედ რეალური მდგომარეო- ის შეფასების გამო, ე. ი. იმ სრუ- ად სალი მოსაზრებით, რომ შესა- ლებლობის ფარგლებში რაიმე ამო- ღოთ მოწინააღმდეგის ჯიბიდან. მაგრამ სარეპარაციო გადასახადები ც ალემატებოდა გერმანიის სა- რნეო ძალას. საჭირო იყო ომით ნგრეული მეურნეობის გამომთელე- ქვეყნის საწარმოო ძალების აღ- ენა, რათა მოსახერხებელი ყოფი- იყო გამარჯვებულების დაკმაყოფი- ბა. სამეურნეო ცხოვრების აღსა- ნათ საჭირო პირობების შექმნა მოადგენდა გერმანიის მესვეურე- სათვის პირველი რიგის ამოცანას. ველ შეხედვით ამაში დაინტერე- ლი უნდა ყოფილიყვნენ თვით რჯვებული სახელმწიფოებიც. ომის დროსაც და, რასაკვირველია, მით უმეტეს, გერმანიის დამარცხების შემდეგ, საფრანგეთში თითქმის ყველას პირზე ეკრა სიტყვები: „გერმანია გადაიხდის“-ო ამიტომ, შექმნა ისეთი პირობების ამ ქვეყნის მეურნეობისათვის, რომ მას მისცემოდა შესაძლებლობა გადახდის—რამდენადაც ამაზე აიძულებდა მას საზოგადოთ ვერსალის ხელშეკრულება—თავისთავად ბუნებრივი იყო. მაგრამ სულ სხვანაირათ ამოძრავდა საფრანგეთის იმპერიალისტური „ნაციონალური ბლოკის“ აზროვნება. მის მიზანს შეადგენდა და შეადგენს გერმანიის მოსპობა, რადგან დამარცხებულსაც შეუძლია როდისმე ფეხზე წამოდგომა. სწორეთ ასეთი პერსპექტივების მოლოდინში საფრანგეთი ყოველ ღონეს ხმარობდა და ხმარობს დღესაც, მოუსპოს უმნიშვნელო გასაქანიც ქვეყნის სამეურნეო ენერგიას, დარწმუნებული იმაში, რომ ასეთ ეკონომიურ აღორძინებას შედეგათ მოჰყვება დამარცხებულის წელში გასწორება. ამ ქვეყნის შინაურ ცხოვრებაში ჩარევის საშუალება მისცა საფრანგეთს სარეპარაციო გადასახადების ახალ-ახალმა პირობებმა და გარანტიებმა, რომლებსაც თავზე ახვევდნენ თანდათან დამარცხებულს ანტანტის კაპიტალის დახელოვნებული ჯამბაზები. ცხადია, რომ პარალელურათ გერმანიის გატყავებასთან ერთათ სწარმოებდა და სწარმოებს „დიდი პროგრამის“ ცხოვრებაში გატარება ე. ი. რკინის ქუსლით დამარცხებული ქვეყნის გაჭყლეტა. ამ მიზანს ემსახურება დასავლეთ გერმანიის დაკავება, ამიტომ არის ამოძრავებული თეთრ და შავკანიანი მხედრობა, რომელიც გამოცდილ მეჯასპეების ხელმძღვანელობით სრესს დღეს ყოველივეს, რასაც სიცოცხლის ბეჭედი აზის გერმანიაში: მის ყველაზე უფრო მდიდარ სამრეწველო მხარეს. ამნაირათ ხელოვნურათ გაძნელება და გართულება სარეპარაციო ვალების გადახდის პირობების, რათა გამართლებულ იქნას დამარცხებულის სამხედრო დაპყრობა—ასეთია მიზანი საფრანგეთის იმპერიალისტების.

მაგრამ ასეთი მაშტაბის სამხედრო გეგმებს ესაჭიროება დიდი ხარჯები. საიდან უნდა ამოიღოს ეს თანხები საფრანგეთმა, რომელიც თვითონ ჩაფლულია ვალებში? ექსპლოატაცია დაკავებული რაიონის—აი ეკონომიური „გამოსავალი“ მდგომარეობიდან და აგერ წინაზე საფრანგეთის მთავრობის მიერ პრესაში გამოქვეყნებული სათანადო დებულებები უნდა ემსახუროს ამ „წმინდა“ მიზანს. ეს დებულებები გადაწყვეტილია აფიშით გაიკრას მთელ რეინლანდში.

ორი წყაროა მიჩნეული აუცილებლად ამ მიზნისათვის და ორივე ემსახურება, იმავე დროს, პოლიტიკურ მიზანს რეინის მხარის გერმანიისაგან ჩამოჭრას, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს ამ ქვეყნის დანაწილებისაკენ. ორი უმთავრესი ზომა, რომელიც ტარდება, მდგომარეობს იმაში, რომ საბაჟო ხაზით მოსწყვეტონ დაკავებული მხარე მთელ გერმანიას. დებულება პირდაპირ ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ არავითარი საქონელი, მომზადებული რეინლანდში, არ იქნება გატანილი ჯერ კიდევ დაუკავებელ დანარჩენ გერმანიაში. ეს ერთი და მეორეც—მთელი ექსპლოატაცია რკინის გზის ტრანსპორტის—ჯერ ამაზეა ლაპარაკი—იწარმოებს ოკუპანტების მიერ და ამ მიზნით ხდება ამ გზების „რეორგანიზაცია“ საფრანგეთის „სპეცების“ მიერ, რასაკვირველია, ბელგიელების დახმარებით.

მაგრამ ამ ზომებით არ განისაზღვრება საფრანგეთის ნაბიჯები. იმპერიალისტები საქმის ხალხი არიან. თავიანთ ვიწრო ეგოისტური ინტერესების ფარგლებში ისინი საკმაოთ შორს იხედებიან, სანამდისაც ყოფნით მათ პოლიტიკური მხედველობა და მადა.

მათი განსაკუთრებული მზრუნველობის საგანს შეადგენს, ისე მისწიმოსწიონ გერმანიის საზღვრები აღმოსავლეთით, რომ ის არ უახლოვდებოდეს საბჭოთა რუსეთს ყოველგვარი მოსალოდნელი სამხედრო კოოპერაციის თავიდან ასაცილებლათ. კიდევ უფრო გაძლიერება, ამ მიზნით, საფრანგეთის ნაგაზის აღმოსავლეთში, პოლონეთის, შეადგენს ამიტომ კიდევ ერთ მორიგ ამოცანას საფრანგეთის იმპერიალისტებისას. ამასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას იძენს ხმები იმის შესახებ, რომ პოლონეთი იწიკება კიონიგზბერგისკენ მის ხელში ჩასაგდებათ. დაპყრობა—დანაწილება ამ რიგათ გერმანიის, მისი დაშორება რუსეთისაგან, შექმნა ძალთა ისეთი ურთიერთობის, რომელიც შესაძლებლათ გახდის გარკვეულ მომენტში „დარტყმას აღმოსავლეთზე“, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და თუ შესაძლებელი იქნა თვით გერმანიის გამოყენებაც ამ მიზნით—აი საოცნებო საგანი საფრანგეთის პირსისხლიანი იმპერიალიზმის.

ცხადია ამ მდგომარეობაში, რამდენათ გიგანტურია ამოცანები ევროპის და სულ სპეციალურათ საფრანგეთის, გერმანიის, პოლონეთისა და რუსეთის რევოლიუციონური პროლეტარიატის. ჩვენ ერთი წუთითაც ვერ დავკარგავთ მხედველობის წრიდან იმ საფრთხეს, რომელსაც გერმანიის ოკუპაციის და მისი დაჩიჩილაკების ხმაურობაში მზადდება როგორც საბჭოთა ქვეყნების, ისე ევროპის პროლეტარიატის წინააღმდეგ. აქ საჭიროა უაღრესი გამჭრიახობა და მზადება ყოველგვარ მოსალოდნელი ამბებისათვის. დაჭიმვა ყოველი შესაძლებლობის, ძალების ორგანიზაცია და მზადება, რაც არასოდეს არ ამოშლილა ევროპის პროლეტარიატისა და კერძოთ რუსეთის პროლეტარიატის საქმიანობის დღის წესრიგიდან—აი გადაუდებელი ამოცანა. და საერთო ძალით, ევროპის მუშათა კლასი რუსეთის გმირულ პროლეტარიატთან და მის წითელ არმიასთან ერთათ შესძლებს მის გადაჭრას.

მუშა-კორესპონდენტების დასაცავად

ჩვენს ყურადღებას იპყრობს გაზ. „მუშა“-ში (№ 99) მოთავსებული ცნობა მუშა-კორესპონდენტების დევნის შესახებ. სამხედრო დისტანციას დათხოვნია სამსახურიდან მუშა, რომელიც ამავე დროს არის აღნიშნულ გაზეთის თანამშრომელ—კორესპონდენტი, მუშა, რომელმაც ამ დაწესებულების ადმინისტრაციის მოქმედების შესახებ ხსენებულ გაზეთში მოათავსა რამოდენიმე წერილი.

დათხოვნის ოფიციალურ საბუთად მოყვანილია შტატის შემცირება.

ამ რამოდენიმე ხნის წინედ ჩვენს რკინის გზაზედაც ჰქონდა ადგილი არსებითად ამავე ხასიათის ფაქტს: ერთ ერთი განყოფილების უფროსმა მოინდომა მის ხელქვეითი მყოფ თანამშრომლის, გაზ. „გუდოკ“-ის კორესპონდენტის თავიდან მოშორება და სხვა ადგილას გადატყორცნა. კიდეც გადადგა ამ მხრივ ნაბიჯი და გასცა „დასაბუთებული“ ბრძანება. მაგრამ საქმეში დროზე ჩაერია პროფკავშირი, პრესა და დაწესებულების უმაღლესი ადმინისტრაცია და გამოაშკარავებულ იქნა ამ ნაბიჯის ნამდვილი სარჩული.

აი, ის ორი გამომზეურებული ფაქტი, რომელიც არის ჩვენს განკარგულებაში და რომელიც შეეხება მუშა-კორესპონდენტების წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლას.

ხოლო ყრუ უკმაყოფილება—ბრძოლას პარტიულ-საბჭოთა პრესის ძვირფასი თანამშრომლების წინააღმდეგ ზოგიერთ დაწესებულება-წარმოების ადმინისტრატორების მხრივ საერთოდ უეჭველად აქვს ადგილი ჩვენში.

უფრო ფართე და მწვავე ხასიათი აქვს მიღებული მუშა-კორესპონდენტების დევნას რუსეთში. იქ საქმე მიდიოდა მათ მკვლელობამდეც. კარგად გვახსოვს ამხ. სპირიდონოვის და სხვათა მკვლელობა და ამის გამო წარმომდგარი პროცესები.

რუსეთში ასეთი ხასიათი მიიღო მუშა-კორესპონდენტების დევნამ იმიტომ, რომ იქ მუშათა პრესას ექცევა უდიდესი ყურადღება, იქ მუშა მწერლები ავსებენ გაზეთების საგრძნობ ნაწილს, იქ მუშა-კორესპონდენტებს შეგნებული აქვთ თავიანთი მოვალეობა და ისინი ყოველმხრივ აშუქებენ მუშათა და წარმოება-დაწესებულების ცხოვრებას, ამ უკანასკნელთა ადმინისტრაციის მოქმედებას. იმათ დღის სინათლეზე გამოაქვთ საბჭოთა ორგანოებში მყოფ პირების ავ-კარგი.

მათ მუშურ, მართალ სიტყვას აქცევენ ფხიზელ ყურადღებას, როგორც პრესა, ისე სათანადო ორგანოები. მუშათა წერილებში აღნიშნული, ამა თუ იმ პირის დანაშაულებრივი მოქმედება და ანტიპროლეტარული ყოფა-ქცევა არ დარჩება დაუსჯელი.

მუშა-კორესპონდენტი ამ ბნელი ელემენტებისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს, ისინი ცდილობენ გააშავონ იგი, ან თავიდან მოიშორონ.

ის გარემოება, რომ ჩვენში აქ-იქ დაიწყო მუშა-კორესპონდენტების დევნა, მოწმობს, რომ მუშათა პრესა მძლავრი ფაქტორი გახდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების.

მეორე მხრივ ეს იმაზე მეტყველებს, რომ ზოგიერთ დაწესებულება-წარმოებაში ყველაფერი რიგზე არ არის, რომ საბჭოთა ორგანოებში აქა-იქ არიან ელემენტები, რომლებისათვის უცხოა საბჭოთა წყობილება, პროლეტარიატის დიქტატურა, მუშათა კლასის უფლება-ინტერესები, ელემენტები, რომელნიც ამასთან აბუჩად იგდებენ მუშათა პრესას.

მაგრამ ჩვენი პრესა, საბჭოთა ხელისუფლება ერთი წუთითაც ვერ მოითმენენ ამ მახინჯ მოვლენას, მუშა-კორესპონდენტის აშკარა თუ ფარულ დევნას.

მუშა-კორესპონდენტი, მუშა-მწერალი—ეს ძვირფასი მონაპოვარია პროლეტარიატის. მხოლოდ პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა ისეთ პირობების შექმნა, როცა თვით მუშებისაგან გამოსულ პირებს შეუძლიანთ თავისუფლად გამოსთქვან თავიანთი გულისნადები, მუშური თვალსაზრისით გააშუქონ მიმდინარე ცხოვრების ავ-კარგი, დაგმონ, რაც დასაგმობია. კრიტიკულად შეხედონ მთელ ჩვენ მუშაობას.

წინეთ მათ ენა ჰქონდათ დაკეტილი, არც სამისო გამოცდილება და მომზადება შესწევდათ.

დღეს მუშათა კლასი, რომელმაც ხელთ იგდო ძალა-უფლება, წელში იმართება ეკონომიურად, ის აგრედვე ადგია კულტურულ გათვითცნობიერების, სწავლების გზას.

ამის მაჩვენებელია, სხვათა შორის, მუშა-კორესპონდენტების გაჩენა და გამრავლება.

ჩვენს ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს ამ მხრივ მუშაობის გაისკეცება, მუშა მწერლების მრავალრიცხოვანი კადრის მომზადება.

მუშა მწერალი უნდა შეიქნეს პარტიულ საბჭოთა პრესის სული და გული. მისი ბასრი სიტყვა გულს უნდა უგმირავდეს მუშათა კლასის მტრებს, ყველა იმათ, ვინც ლახავენ მუშების ინტერესებს და უფლებებს და ძირს უთხრიან საბჭოთა აღმშენებლობას.

და ვაი იმას, ვინც შეეცდება წინაალუდგეს მუშა-მწერლის მართალ სიტყვას, ვინც განიზრახავს სხვა და სხვა ხრიკით მის შევიწროვებას.

მუშათა კლასს და მის მთავრობას საკმაო საშუალებები მოეპოვება ასეთების ასალაგმავად და მუშა-მწერლის დასაცავად.

ამიერ-კავკასიის კომორგანიზაციების მეორე ყრილობა

ამხ. მიასნიკოვის მოხსენება

კავკასიის ბიუროდან—ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისაკენ.

საოლქო კომიტეტმა ამიერ-კავკასიის კომპარტიის 1-ლ ყრილობის შემდეგ მიიღო კავკასიის ძველი ბიუროსაგან ქონება. პარტიულ ყრილობამ სათანადო რეზოლიუციით დაადგინა გარდაქმნილ ყოფილიყო მთელი აპარატი, კავკასიის ბიუროს განყოფილების და დაარსებულ ყოფილიყო ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტთან 4 დიდი განყოფილება, დაკავშირებოდა ნაციონალურ ცეკას და ადგილობრივ ორგანიზაციებს.

ბოლოს და ბოლოს ერთი წლის განმავლობაში ჩვენ შევიტანეთ ცვლილება ორგანიზაციის სქემაში. ზევით იყო საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელიც შესდგებოდა 13 წევრისა და 3 კანდიდატისაგან. ზოგიერთ ცვლილებების და ყრილობის შემდეგ პლენუმი იკრიბებოდა პერიოდულად ყოველ თვენახევარ—ორ თვეში ერთხელ და მთელი წლის განმავლობაში მას ქონდა 8 სხდომა. პლენუმმა გამოჰყო პრეზიდიუმი, როგორც მუშა აპარატი, პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დარგებში, რომელიც შესდგება 7 წევრისა და 2 კანდიდატისაგან. უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში ყოველდღიურ მუშაობისათვის პრეზიდიუმმა გამოჰყო მდივანი. მანამდე საოლქო კომიტეტს ყავდა ორი მდივანი, რადგან საოლქო კომიტეტის მუშაობა გაიზარდა და გამართლდა—დაარსებულ იქნა სეკრეტარიატი. ამავე ხნის განმავლობაში სეკრეტარიატს ქონდა 10 სხდომა. ეხება რა ყველა განყოფილებებს, მომხსენებელი ახასიათებს საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილებას, როგორც ყველაზე დიდ განყოფილებას.

კავშირი ადგილებთან.

საოლქო კომიტეტმა თავის ჩასახვის პირველი დღიდანვე დაისახა ამოცანა მჭიდრო კავშირი დაეჭირა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან. და არ დაკმაყოფილდა იმ კავშირით, რომელიც არსებობდა მანამდე ეროვნულ ცეკასა და კავბიუროს შორის. საოლქო კომიტეტმა კავშირი დაიჭირა სამაზრო ორგანიზაციებთანაც. საოლქო კომიტეტს ქონდა წარმოდგენა ყველა ადგილობრივ ორგანოების მუშაობაზე. საოლქო კომიტეტს საჭირო მომენტში შეეძლო მიეღო სათანადო ზომები, გავლენა მოეხდინა ადგილობრივ პატარა ორგანიზაციებზე თავისი საკუთარი საშუალებით. ერთი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საშუალებით გაგზავნილი იყო ადგილებზე 536 პარტიული მუშაკი. ეროვნულ რესპუბლიკებში მუშაკთა შინაური დანაწილება დატოვებულ იქნა ადგილობრივ ეროვნულ ორგანიზაციების ხელში.

საინსტრუქტორო-საორგანიზაციო მუშაობა.

მომხსენებელი გადადის წმინდა საორგანიზაციო მუშაობაზე. სულ უკანასკნელ მომენტამდე **ინსტრუქტაჟი** არ იყო ძლიერი, მაგრამ მიუხედავათ ამისა იგი იძლეოდა საკმაო მასალას ადგილობრივ მუშაობის შესახებ. ყოველგვარ ასეთ ცნობებს თქვენ მიიღებთ ჩვენ აპარატში.

საორგანიზაციო ხასიათის ცვლილებანი.

საორგანიზაციო ხასიათის ცვლილებიდან მე მინდოდა თქვენ წინაშე შევხებოდი საკითხს რაიონების და უჯრედების არსებობის შესახებ. ზოგიერთ მაზრებში იყვენ რაიონები და უჯრედები, ზოგიერთ რესპუბლიკებში იყვენ, ზოგიერთებში არა.

ამ საკითხში საჭირო იყო ადგილობრივი პირობების მხედველობაში მიღება, იქ, სადაც დიდი მაზრებია, შეიძლება იყოს უჯრედები (მაგ. მუშათა რაიონები), აგრეთვე იქ, სადაც მაზრა გლეხურია, და მაშასადამე ვრცელია.

მეორე საკითხია რაიონებათ დაყოფის საკითხი, ეს არის თემურ ორგანიზაციების არსებობა მაზრებში. საქართველოში მაზრები გადავიდენ სათემო ორგანიზაციებში ეს შეესაბამება „ვოლოსტს“. ორგანიზაციაზე დაიხარჯა დიდძალი საშუალებანი შტატების შესანახავად. ეხლა საქართველოს ორგანიზაცია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „თემი“ ზედმეტია. დასმულ იქნა აგრეთვე საკითხი ქალაქის ორგანიზაციების არსებობის შესახებ. სრულიად რუსეთის უკანასკნელ წესდებაში აღნიშნულია, რომ ქალაქის ორგანიზაციები არ უნდა არსებობდენ. დიდ ქალაქებში, როგორიც არის მოსკოვი, პეტროგრადი—ცენტრში ეს ორგანიზაციები უნდა არსებობდენ. აქ კი ბაქოსა და თბილისში ისინი უნდა შეუერთდენ სამაზრო ორგანიზაციებს და არ უნდა ატარებდენ **ქალაქის ორგანიზაციის** სახელწოდებას. ამხანაგები ადგილებზე დაეთანხმნენ ამას. ბაქოში ეს დიდი ხანია, რაც განხორციელეს, თბილისში კი ამას წინად შემოიღეს.

დამხმარე იაჩეიკები.

დამხმარე იაჩეიკები ამიერ-კავკასიაში, კერძოთ აზერბეიჯანში ფართოთ არიან დაყენებული. მომხსენებლის აზრით, ამიერ-კავკასიამ გაიარა ის გზა, რომელიც განვლო რუსეთის კომპარტიამ 17—18 წელში (თანაგრძნობთა ინსტიტუტი). მაგრამ გადააბიჯა რა ამ ინსტიტუტს ამიერ-კავკასიის ორგანიზაციამ საერთო ყრილობაზე დაადგინა გაუქმებულ იქნას დამხმარე იაჩეიკები. ბაქოს ორგანიზაციამ ამ იაჩეიკების დაახლოებით 35 პროც. გადაიყვანა პარტიის კანდიდატებათ.

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება აძლევდა განსაზღვრულ ლოზუნგებს სხვა და სხვა კამპანიების ჩასატარებლათ. დიდი კამპანიებიდან, რომელიც ამ განყოფილებამ ჩაატარა, აღსანიშნავია—მიწის, ბამბის, ნავთის, გაზეთების გავრცელების, სასურსათო კამპანიები და სხვა.

ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი.

უდიდესი მუშაობა—არის **ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის გახსნა.** უკანასკნელ ხანებში საოლქო კომიტეტმა ამ საკითხს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. უკანასკნელ ხანებში ეს უნივერსიტეტი გაიხსნა კომუნისტური შემადგენლობით, კომუნისტური მსმენელებით და კომუნისტ-პროფესორებით,

კომუნისტური უნივერსიტეტი იქნება დიდი დაწესებულება, როგორც სამსწავლო, ისე სამეცნიერო ლაბორატორია. ამ უნივერსიტეტის სათავეში დანიშნულია ამხ. მიშა ოკუჯავა. მოწვეულნი არიან ყველა ჩვენი ლექტორები—მარქსისტული და არა მარქსისტული ძალები—და იკრიბება მსმენელები. მოდიან ამხანაგები აზერბეიჯანიდან და სომხეთიდან, ჯერ-ჯერობით გვყავს 200 სტუდენტი. ვფიქრობთ, რომ ეს ციფრი 500-დე გაიზრდება.

უნივერსიტეტს აქვს 4 ეროვნული სექტორი: თათრული, ქართული, სომხური და რუსული ერთ წლიანი კურსით.

ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტისათვის გადადებულია 10 მილიარდი მანეთი და დაკმაყოფილებელი იქნება ყველა მისი მატერიალური მოთხოვნილებანი.

ვფიქრობთ, რომ ეს უნივერსიტეტი გადაიქცევა არა მარტო პარტიულ შკოლად, არამედ უნივერსიტეტათ ნამდვილი ამ სიტყვის მნიშვნელობით. ამიერ-კავკასიის მაშტაბში სამშობლო ენაზე ჩვენი ამხანაგები მიიღებენ განათლებას. ამ უნივერსიტეტში შემოღებულ იქნება სწავლება სამშობლო ენაზე.

პრესა.

საოლქო კომიტეტს აქვს რუსულ ენაზე თავისი ცენტრალური ორგანო „ზარია ვოსტოკა“, რომლის ტირაჟი დაიწყო 2500 ცალით და ამ ჟამად 13.000 ავიდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტირაჟი 20,000 ავა. უკანასკნელ ხანებში საოლქო კომიტეტმა დაიწყო ზრუნვა პრესაზე საოლქო მასშტაბით. თურქული და სომხური პრესა გაუმჯობესდა. საოლქო კომიტეტის გამომცემლობამ გამოსცა 60,000 ცალი წიგნი, 29 სახელწოდება.

დაარსებულია სააქციონერო საზოგადოება „წითელი წიგნი“, რომელშიც შედიან ჩვენი ამხანაგები. „წითელი წიგნი“ ფართოდ მოაწყობს გამომცემლობას ყველა ენებზე. **ქართულ ენაზე „წითელ წიგნს“ გამოცემული აქვს იმდენი სახელმძღვანელოები, რამდენიც განათლების კომისარიატს ჯერ არ გამოუცია.** სახელმძღვანელოები და სხვა წიგნები იცემა აგრეთვე თურქულ და სომხურ ენებზე, მართალია თურქული წიგნების გამოცემა საძნელოა, რადგან არა გვაქვს სპეციალური სტამბა. წიგნებს ვცემთ გარკვეული სისტემით კომუნისტურ უნივერსიტეტთან შეფარდებით.

ქალები და ახალგაზრდობა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები სათანადო პატივისცემით ეპყრობიან ქალთა მოძრაობას. ახალი საოლქო კომიტეტი ამ საკითხს მტკიცედ დასვამს. ქალთა განყოფილება თავის მუშაობას ანვითარებს ბევრ მაზრაში.

საოლქო კომიტეტმა სერიოზული ყურადღება მიაქცია ახალგაზრდობას. საოლქო კომიტეტი ფიქრობს, რომ ახალგაზრდობა ის კადრია, რომელიც აშენებს ჩვენს პარტიას.

—ძლიერ ხშირათ, ამბობს ამხ. მიასნიკოვი,—ამიერ-კავკასიაში ლაპარაკობენ დიდ პარტიულ სტაჟზე, ძველი მუშაკებზე, ჭაღარაზე და სხვა. **ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძველი პარტიის პატივისცემასთან ერთად ჩვენ უნდა ვიფიქროთ ახალ გვარდიაზეც,** რადგან დღეს-ხვალ მთელ პარტიას ხელში აიღებს ახალგაზრდობა. ლაპარაკი „სტაჟიანებზე“ და „უსტაჟოებზე“ ყრუჯდერ და საშუდამოთ დავიწყებული უნდა იქნას. ეს მუშაობა ხდება და უნდა გაგრძელდეს, ახალგაზრდობის მოძრაობა იზრდება და ფართოვდება.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში კომკავშირში შეკავშირებულია 25400 ახალგაზრდა. საქართველოში მათი რიცხვი 12.000 აღემატება, სომხეთში—6600, აზერბაიჯანში—6700. მათ შორის კომუნისტები 981-ია, ამათგან აზერბაიჯანში—287 და სომხეთში—280.

კოოპერაცია.

უკანასკნელმა კოოპერატიულმა კონფერენციამ მოაწყო კოოპერატიული ცენტრი. წინეთ ცენტრო-სოიუზი და ამიერ-კავკასიის კავშირი ებრძოდა ერთი მეორეს, ახლა ისინი გაერთიანებულია ამიერ-კავკასიის კავშირში. საჭირო იყო კოოპერაციის ერთი რომელიმე ფორმაზე შეჩერება—გაყოფილ ან გაერთიანებულზე (როცა სასოფლო-სამეურნეო სამომხმარებლო და საწარმოო კოოპერაცია შეკავშირებულია). აზერბაიჯანში უკვე არსებობდა კოოპერაციის გაერთიანებული (ინტეგრალური) ფორმა. ამ ჟამად ეს საკითხი ასევე იჭრება სომხეთში და საქართველოში. **უკანასკნელ ხანებში საოლქო კომიტეტმა მიიღო კოოპერაციის გაერთიანებული ფორმა.**

პროფკავშირები.

ვრცლათ ეხება მომხსენებელი პროფკავშირებს.

პარტიასა და პროფკავშირებს შორის მტკიცე კავშირი იყო. ყველა უთანხმოებას უკვე ბოლო მოეღო. ბოლო მოეღო უთანხმოებას რკინის გზის პროლეტარიატშიც. **ჩვენი პროფკავშირები აერთიანებენ 195.000 მშრომელს.**

შრომის ხელფასი არა თუ შემცირდა, გაიზარდა კიდეც: აზერბაიჯანში და სომხეთში 1 ნახევარჯერ, საქართველოში კი 30 პროცენტიდან 70 პროცენტამდე.

უდიდესი წერტილს შრომის ხელფასის ზრდამ მიაღწია ნოემბერში სწორეთ იმ დროს, როცა ჩვენ ადგილობრივი ბონებიდან ამიერ-კავკასიის ერთიან ფულის ნიშანზე გადასვლას ვახდენდით.

საბჭოთა მუშაობა.

ამ მუშაობას ჩვენ დიდის ყურადღებით ვეპყრობოდით. მთელი ერთი წლის განმავლობაში ჩვენ ვაწარმოებდით მუშაობას ფედერაციის სასარგებლოთ. პირველ ხანებში ჩვენ ის გვინდა საკავშირო საბჭოს და ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს სახით.

ამის შემდეგ ჩვენ დავიწყეთ კამპანია ამიერ-კავკასიის საბჭოების მოსაწვევათ და ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერატიული რესპუბლიკის შესაქმნელათ.

სამეურნეო კითხვები.

პირველ რიგში იდგა კითხვა ფულის რეფორმის ჩასატარებლად. ჩვენ გამოვყავით სპეციალური კომისიები, რომლებშიც პრინციპიალურად ირჩეოდა ეს საკითხი.

ფულის რეფორმამ ბრწყინვალე შედეგები მოიტანა, რამდენათაც ამას ციფრები და დიაგრამები ამტკიცებს.

ის ფაქტი, რომ თვის განმავლობაში ამიერ-კავკასიის ფულის ნიშანის კურსი ერთ დონეზე დგას სხვა ღონისძიებითაც აიხსნება, მაგრამ მთავარი როლი ამაში საოლქო კომიტეტის შეთანხმებულმა და ენერგიულმა მუშაობამ ითამაშა.

ამას წინათ აქ მოწვეული იქნა საოლქო ეკონომიური თათბირი. ეს პირველი თათბირი იყო, რომელსაც უნდა გაერჩია ქვეყნის სამეურნეო კითხვები, რომ ამის შემდეგ შევდგომოდით იმ სამეურნეო ორგანოების შექმნას, რომლებზეც მიგვითითა ამიერ-კავკასიის საბჭოების პირველმა ყრილობამ—მებამბეობის მთავარი კომიტეტი, მულანის სამელიორაციო აღმშენებლობის სამმართველო და სხვა. უმაღლესი ეკონომიური საბჭო ჯერ არა გვაქვს და დღემდე ის არ შეგვიქმნია. საჭიროა პარტიული ყრილობების აზრი, როგორიც დღეს არის და შემდეგ მიუდგებით ამ კითხვასაც.

ოქროს მთებს ეკონომიური თათბირისაგან ჩვენ არ მოველოდით, მაგრამ ვფიქრობდით, რომ თათბირი მოგვცემდა მასალებს ამიერ-კავკასიის ეკონომიკის შესახებ და ერთგვარ სახელმძღვანელო ხაზს ამიერ-კავკასიის ეკონომიკის შესაქმნელათ. ეკონომიურ თათბირის ანგარიშები უკვე გადაცემულია დასაბეჭდათ და ყრილობის დასასრულისათვის ალბათ მზათ იქნება.

პარტ.-ორგანიზაციების რიცხვითი შემადგენლობა.

ამიერ-კავკასიაში პარტიის წევრების რიცხვი ჩვენს განკარგულებაში მყოფ ცნობებით 25.000 აღწევს. წევრების ყველაზე დიდი რიცხვია საქართველოში—11.544 და 126 კანდიდატი. ასეთი არანორმალობა აიხსნება მეორე პარტიული გაწმენდით, რომელსაც ადგილი ქონდა საქართველოში. აზერბეიჯანში 6.551 წევრია, ამხ. კიროვის უკანასკნელი ცნობით კანდიდატების რიცხვი კი 2.228 უდრის. სომხეთში 2657 პარტიის წევრია და 2187 კანდიდატი.

საოლქო მასშტაბის პასუხისმგებელი მუშაკი 40 კაცია, საქართველოში პასუხისმგებელ მუშაკთა—ც. კომიტეტის წევრების და სახალხო კომისრების რიცხვი 70-ია, აზერბეიჯანში—39, სომხეთში—36. ამ რიგად სულ ამიერ-კავკასიაში 185 პასუხისმგებელი მუშაკი გვყავს.

შემადგენლობა მეტად საინტერესოა. რუსეთში პარტიაში დაახლოებით 46,5 პროც. მუშებია, 24 პროც. გლეხები და 24,2 პროც. მომსახურეები. **ამიერ-კავკასიაში სხვა სურათია: აქ გვყავს 31,6 პროც. მუშა, რუსეთში—46 პროც., 48,2 პროც. გლეხი, რუსეთში—24 პროც. და 12 პროც. მოსამსახურე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ უპარტიოებშიც ასეთ სურათს მივიღებთ.**

აზერბეიჯანის კომ. პარტიის მუშური შემადგენლობა 52,2 პროც. უდრის, უფრო მაღალია, ვიდრე რუსეთში, გლეხობა—21,2 პროც., მოსამსახურეები—14 პროც. და დანარჩენები—12,6 პროც. სომხეთს მეორე ადგილი უჭირავს. მუშური შემადგენლობა—23,1 პროც., გლეხობა—38,5 პროც., მოსამსახურეები—13 პროც. საქართველოს უკანასკნელი ადგილი უჭირავს. მისი მუშური შემადგენლობა—21,8 პროც.-ია, გლეხობა—52,7 პროც., არც ერთ ორგანიზაციაში ამას ადგილი არა აქვს,—მოსამსახურეების—13,8 პროც. და სხვა—8,7 პროც. საჭირო იყო საქართველოში პროლეტარული ელემენტების გავლენის გაძლიერება და პარტიის გაწმენდამ ამ მხრივ სათანადო შედეგები მოგვცა.

თუ ავიღებთ მთელ საქართველოს პარტიის მუშათა შემადგენლობის ხვედრ წონას, ჩვენ დავინახავთ, რომ 9—10 პროც.-ი მომატა საქართველოს ორგანიზაციის ხვედრმა წონამ.

ბაქოს ორგანიზაციაში საჭიროა კიდევ მეტი მუშათა ელემენტი შევიყვანოთ, აგრეთვე საქართველოსაშიაც.

საორგანიზაციო მხრივ ყველაზე ძლიერია აზერბეიჯანის ორგანიზაცია, ბაქოს ორგანიზაციის და პროლეტარულ ელემენტის წყალობით. და თუ იქ იქნებოდენ რაიმე ცენტრომსრბოლი ძალები, ისინი მყისვე განიცდიდენ სიდამბლეს პროლეტარულ მძიმე ჩაქუჩის წყალობით. საორგანიზაციო მხრივ აზერბეიჯანის პარტორგანიზაცია კარგ პირობებში იმყოფება.

ათავებს რა თავის მოხსენებას, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საოლქო კომიტეტი თავის შემადგენლობით უნდა წარმოადგენდეს მთლიან, განუყოფელ ორგანიზაციას.

— ჩვენი პარტია უპარტიოთა შორის საორგანიზაციო მხრივ კოჭლობს, თუმცა ჩვენ უკანასკნელ ხანებში ვიწვევდით უპარტიოთა კონფერენციებს, მაგრამ უპარტიოთა შორის ინტენსიური მუშაობა არა გვაქვს. ამას კი უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. უპარტიოთა შორის მუშაობა—ჩვენი მთავარი ამოცანაა, როგორც ქალთა, ისე ახალგაზრდათა კომკავშირის განყოფილებებში.

მომავალში ამ მიზნით უნდა მოეწყოს სპეციალური საორგანიზაციო შკოლა (ტაში).

რეზოლიუცია ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მოხსენების გამო.

„მოისმინა რა ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ანგარიში, ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების 2-ე ყრილობა სავსებით იწონებს ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს, რომელიც მიმართულია მტკიცე ეროვნულ მშვიდობიანობისა და ამიერ-კავკასიის ყველა ხალხთა პოლიტიკურ და ეკონომიურ თანამშრომლობის უზრუნველყოფისაკენ ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედ. სოც. რესპუბლიკის საშუალებით და სცნობს რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობას დამაკმაყოფილებლად. ამასთანავე ერთად ყრილობა ავალებს ახალ საოლქო კომიტეტს მომავალშიაც განუწყვეტლად განაგრძოს ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების გაერთიანების და შეკავშირების და ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედერატიულ რესპუბლიკის დახმარების და განმტკიცების ხაზი“.

რეზოლიუცია მიღებულია უმრავლესობით წინააღმდეგ 10—ხმისა, 1-მა თავი შეიკავა.

რადიო-დეპეშები

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

მოსკოვი. 20 მარტი. დღემდე შენიშნული გაუმჯობესება თანდათანობით გრძელდება. საერთო მდგომარეობა კარგია.

20 მარტი 14 საათი.

პროფესორები: მინკოვსკი, ფერსტერი, კრამერი.
პრივატ-დოცენტი: კოჟევნიკოვი.
ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: სემაშკო.

რურის ოლქის ოკუპაცია

მძევლები მიჰყავთ

პარიზი. 21 მარტი. საფრანგეთის საოკუპაციო ჯარის სარდალმა ესენში გენ. ფურნიემ გამოსცა ბრძანება რომელშიც ნათქვამია, რომ ფრანგი ჯარისკაცის მოკვლისათვის საოკუპაციო ხელისუფლებამ მძევლების სახით დაატუსაღა ესენის პოლიციის უფროსი, სასამართლოსა და სავაჭრო პალატის თავმჯდომარეები სახელმწიფო ბანკის ესენის განყოფილების და ათი კერძო ბანკის დირექტორი. ბრძანების თანახმად აღნიშნული მძევლები განთავისუფლებული იქნებიან, როგორც კი გერმანიის პოლიცია ფრანგი ჯარისკაცის მკვლელებს საფრანგეთის სამხედრო სასამართლოს გადასცემს. თუ დამნაშავეები აღმოჩენილი არ იქნენ, ოკუპანტები მძევლების დაკავების გარდა უფლებას იტოვებენ ქალაქს დაადვან ჯარიმა.

ობერ-ბურგომისტრის განთავისუფლება

მოსკოვი. 21 მარტი. საფრანგეთის ორი ჯარისკაცის და აგენტის მკვლელობის ფაქტის გამორკვევის შემდეგ, ოკუპანტებმა გაანთავისუფლეს ქ. ბიუერის ობერ-ბურგომისტრი.

კიდევ ერთი მძევალი

მოსკოვი. 21 მარტი. ესსენიდან მიღებულ ცნობების თანახმად ფრანგებმა მძევლის სახით წაიყვანეს რეიხსტაგის დეპუტატი კვარცი, ესსენში ფრანგ ჯარისკაცის მკვლელობის გამო.

რურის მოსახლეობის სასარგებლოთ შეწირულების აკრძალვა

ბერლინი. 21 მარტი. მოკავშირეთა რეინლანდის კომისიამ გამოსცა დადგენილება რურის მოსახლეობის სასარგებლოთ ყოველგვარ შეწირულების შეკრების აკრძალვის შესახებ. ამ განკარგულებასთან დაკავშირებით მიუნხენში მოხდა დაპატიმრებანი. გლადბახში და სხვა ქალაქებში სახელმწიფო ბანკებმა შესწყვიტეს შეწირულებათა შეკრების ოპერაციები. ფრანგებმა კონფისკაცია უყვეს ბანკებში და ფოსტაში შეკრებილ 86 მილიონ მარკას.

ოკუპანტების შტაბის გადასვლა

ბერლინი. 21 მარტი. საოკუპაციო არმიის გენერალური შტაბი მაინციდან დიუსელდორფში გადავიდა.

რეკვიზიციები დორტმუნდში

ბერლინი. 21 მარტი. უკანასკნელ დროს საფრანგეთის საოკუპაციო ჯარებმა ჯავშნიან ავტომობილებისა და ტყვიისმფრქვეველთა საშუალებით დაიკავეს დორტმუნდის ცენტრალური ნაწილი და დაიწყეს საკრებულოების და კლუბების ავეჯის, ხალიჩების, ფარფორის, საწერი მანქანების და სამზარეულო ჭურჭლეულობის რეკვიზიციები.

სურთ გერმანიის დანაწილება

ბერლინი. 21 მარტი. იხილავს რა დუბერის უკანასკნელ წინადადებას გერმანიიდან რეინლანდის გამოყოფის და მისგან დამოუკიდებელ რესპუბლიკის შექმნის შესახებ, „დეილი ქრონიკლის“ დიპლომატიური კორესპონდენტი ამბობს, რომ ეს წინადადება არამც თუ არღვევს ვერსალის ხელშეკრულების ანბანს და სულს, არამედ ეწინააღმდეგება აგრეთვე საერთაშორისო უფლებას. კორესპონდენტის აზრით ეს იქნებოდა არა მარტო გერმანიის დანაწილება, არამედ აგრეთვე ერთა ლიგის პრესტიჟის შელახვაც, რადგან მის მფარველობის ქვეშ უნდა შესულიყო ახლად შექმნილი რესპუბლიკა.

ამერიკელი სენატორის ჩამოსვლა.

ბერლინი. 21 მარტი. პარიზში ჩავიდა ამერიკელი სენატორი იანსონი, რომელსაც განზრახული აქვს ინახულოს ბერლინი და რურის ოლქი.

„სოციალისტების“ თათბირი.

ბერლინი. 21 მარტი. პარიზში გაიხსნა ინგლისის, იტალიის და საფრანგეთის პარლამენტების სოციალისტურ ფრაქციათა დელეგატების თათბირი რურის მდგომარეობის საკითხის შესახებ.

რურის სიმდიდრე.

პარიზი. 21 მარტი. საფრანგეთის საზოგადოებრივ მუშაობის მინისტრის ლე ტროკეს განცხადებით, რომელიც მან გაუკეთა რურიდან დაბრუნების შემდეგ პრესის წარმომადგენლებს, ნახშირისა და კოქსის მარაგი, რომელიც თავმოყრილია რურის ოლქის მარტო ჩრდილო-რაიონში უდრის დაახლოვებით—ნახშირის — 1 მილ. ტონას და კოქსის—450.000 ტონას.

თავიდან იშორებენ უმუშევრებს.

მოსკოვი. 21 მარტი. ინგლისსა და საფრანგეთს შორის მოხდება შეთანხმება, რომლის ძალით განადგურებული ოლქების აღსადგენათ საფრანგეთმა უნდა გამოიყენოს ინგლისელი მუშები. ინგლისის მთავრობას იმედი აქვს უმთავრესად გამოიყენოს უმუშევარ საალმშენებლო მუშების შრომა.

რურის გარშემო

„განსაკუთრებული მდგომარეობა“.

პარიზი. 21 მარტი. საფრანგეთის სენატის ფინანსიურ კომისიაში პუანკარემ მოითხოვა მის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის დამტკიცება, რადგან საფრანგეთი განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება.

ბურჟუაზიული პრესის ნამდვილი სახე.

პარიზი. 21 მარტი. ვაშინგტონის გაზეთმა „სპორტსმენ რევიუმ“ 330 დიდი გაზეთის მთავარ რედაქტორს დაუგზავნა ანკეტა შეკითხვით იწონებენ თუ არა ისინი რურის ოკუპაციას. შეკითხულ რედაქტორებიდან 230 უპასუხა, რომ ისინი უდავოთ იწონებენ ოკუპაციას, 24 კი მომხრეა ოკუპაციის ზოგიერთი შესწორებებით.

ახალი ინსტრუქტორები.

პარიზი. 21 მარტი. ოკუპანტების მიერ დაჭერილი ტერიტორიის ნაწილზე ოკუპანტებსა და მოსახლეობას შორის ურთიერთ დამოკიდებულებას შემსუბუქების ტენდენციები ემჩნევა. ქალაქ (დამახინჯებულია) ბურგომისტრმა ქალაქის მოხელეებს დაუგზავნა ახალი ინსტრუქციები, რომლის თანახმად მათ ნება ეძლევათ ოკუპანტებთან დამოკიდებულება იქონიონ.

დელეგაციის გაგზავნა ბერლინში,

პარიზი. 21 მარტი. მოკავშირეთა ქვეყნების სოციალისტური პარტიების წარმომადგენლების კონფერენციამ დაადგინა გაგზავნოს ბერლინში დელეგაცია გერმანელ სოციალისტებთან ერთად ოკუპაციის და კონტრიბუციის საკითხის განსახილველად.

კუნოს გამგზავრება.

ბერლინი. 21 მარტი. კანცლერი კუნო ხვალ აპირებს სამხრეთ გერმანიის ჩამოსავლელათ გამგზავრებას. პირველად კუნო ინახულებს მიუნხენს.

რა ჯდება ოკუპაცია.

ბერლინი. 21 მარტი. საფრანგეთის მთავრობა ოფიციალურათ აცხადებს, რომ რურის ოლქის ოკუპაცია პირველი იანვრიდან დღემდი დაჯდა 100 მილიონი ფრანკი.

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების საკითხი

ხმები მოლაპარაკების შესახებ.

მოსკოვი. 21 მარტი. ჰანოვერიდან იტყობინებიან, რომ შეერთებულ შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ადასტურებს გერმანიის მთავრობისაგან ნოტის მიღების ფაქტს. ნოტა არ შეიცავს არავითარ თხოვნას რაიმე შუამავლობის შესახებ. ასეთ თხოვნას საფრანგეთი ჩასთვლიდა გერმანიის მხრივ საწინააღმდეგო მოქმედებათ.

გაზეთი „დეილი მეილი“ ამტკიცებს, რომ მომავალ კვირის განმავლობაში დაიწყება ოფიციალური და ნახევრად ოფიციალური მოლაპარაკება გერმანიას და საფრანგეთს შორის.

ვაჭრები შეშფოთდენ.

მოსკოვი, 21 მარტი. ინგლისის თემთა პალატის სხდომაზე მთავრობას მისცეს მთელი რიგი შეკითხვებისა იმ დაბრკოლებათა შესახებ, რომელსაც განიცდის ინგლისის ვაჭრობა რურის ოკუპაციის გამო. მთავრობამ აღნიშნა, რომ ინგლისმა სერიოზული წინადადება მისცა გერმანიის მთავრობას, რათა მან ინგლისის კომერსანტებს ნება დართოს თავისუფლად აწარმოონ ექსპორტ-იმპორტი. ამ საკითხში მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს აგრეთვე საფრანგეთთან და ბელგიასთან.

ებერტის სიტყვა.

მოსკოვი. 21 მარტი. გამმში, კაბინეტის წევრთა და რურის ოლქის 1500 დელეგატის თანდასწრებით წარმოთქმულ სიტყვაში, გერმანიის პრეზიდენტმა ებერტმა განაცხადა, რომ მიუხედავათ ბრძოლის ფრანგული მეთოდების მარცხისა, საფრანგეთი დღემდის არ სცდილობს გერმანიასთან სამართლიან შეთანხმებას, რომლისაკენაც გერმანიის მთავრობა გულწრფელად მიილტვის. რურის დელეგატებმა თავის მხრივ განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან მხარი დაუჭირონ მთავრობას, სამართლიან შეთანხმებისაკენ ლტოლვაში.

გერმანიის ამბები

ფაშისტების წინააღმდეგ.

მოსკოვი. 21 მარტი. ბერლინიდან იუწყებიან, რომ სილეზიაში მემაღაროეთა შორის მასსიური გაფიცვა დაიწყო მაღაროების ადმინისტრაციის მიერ ნაციონალურ-ფაშისტურ მოძრაობისათვის დახმარების გაწევის გამო.

გაფიცვების გამო ადმინისტრაციამ ქარხკომების ყველა წევრები დაითხოვა. მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს 16,000 კაცმა.

დამახასიათებელი შემთხვევა.

მოსკოვი. 21 მარტი. ბერლინში, ბერლინისა და ბრანდერბურგის ოლქების გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობაზე, რურის ოლქის ოკუპაციის გარშემო გამართულ დებატების დროს, ერთ-ერთმა წევრმა ყოფილ დამოუკიდებელ პარტიიდან თავის სიტყვაში მოიგონა კრისპინის სიტყვები; „პროლეტარიატს არა აქვს არავითარი სამშობლოო“. ამ დროს პარტიის პრეზიდიუმისა და „ფორვერტსის“ რედაქციის სკამებიდან მოისმა ყვირილი: „სირცხვილი, სირცხვილი“. კრისპინმა და ზოგიერთმა მუშა დელეგატმა აიძულეს ინციდენტის დამწყები პლიუსსი, უკან დაებრუნებინა თავისი სიტყვები. გაზეთ „ფორვერტს“-მა არ გამოაქვეყნა ამ ინციდენტის შესახებ ცნობა, რომელიც მოთავსებული იქნა შემდეგ „როტე ფანე“-ში. უკანასკნელი ინციდენტის გამო დასძენს: „გაერთიანებული სოციალ-დემოკრატია წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიათ დარჩა. მუშები კი იმ პარტიას ეკუთვნიან, რომელიც პროლეტარიატის ინტერესებს იცავს, ე. ი. გერმანიის კომუნისტურ პარტიას“.

ახლო აღმოსავლეთში

წინასწარი კონფერენცია.

მოსკოვი. 21 მარტი. მოკავშირეთა წინასწარი კონფერენცია ოსმალეთის კონტრ-წინადადებების განსახილველათ გაიხსნება ლონდონში 21 მარტს.

რაუფ ბეის განცხადება.

მოსკოვი. 21 მარტი, „დეილი მეილის“ კორესპონდენტთან საუბრის დროს რაუფ ბეიმ განაცხადა, რომ ოსმალეთთან მეგობრობით ინგლისი ბევრს მოიგებს. თუ ოსმალეთი დამორჩილებული ეყოლება ინგლისს, უკანასკნელი ვერასოდეს ვერ შეინარჩუნებს ძალა-უფლებას აღმოსავლეთში, მაგრამ თუ ინგლისი დაიჭერს ოსმალნთთან მეგობრულ კავშირს, ყველა დაბრკოლებანი ადვილად შეიძლება თავიდან აცილებულ იქმნას.

გაგრძელდება მეგობრობა რუსეთთან.

ანგორა. 19 მარტი. 16 მარტს, მოსკოვში რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების დადების წლის თავზე, „ენი გიუნ“-მა უძღვნა ამ საკითხს მოწინავე წერილი, რომელშიაც სწერს: „საბჭოთა რუსეთმა გაუწოდა ოსმალეთს დახმარების ხელი ყველაზე უფრო მძიმე წლებში და უკანასკნელ დროს მთელ რიგ გარემოებათა მიუხედავად, ეს მეგობრობა ძლიერდება და გაგრძელდება მომავალშიაც“.

დათმობა უზომოდ დიდია.

ანგორა. 19 მარტი. „ენი გიუნი“, ეხება რა თავის წერილში ოსმალეთის კონტრ-წინადადებებს, ჩამოთვლის დათმობებს, რომლებზედაც წავიდა ოსმალეთის მთავრობა მოკავშირეების მიმართ ამ კონტრ-წინადადებებში, და სწერს: „ეს დათმობა ძალიან დიდია და საჭიროებაზე გადაჭარბებულიც. ამაზე მეტს ჩვენ არაფერს დაუთმობთ და თუ ევროპა არ მიიღებს ამას, მაშინ დაიწყება ომი“.

„ტანინი“ არ იწონებს ოსმალეთის კონტრ-წინადადებებს.

ანგორა. 19 მარტი. გაზეთი „ტანინი“ აცხადებს, რომ მას არ შეუძლია მოიწონოს ანგორის მთავრობის კონტრ-წინადადებანი, ვინაიდან ისინი ხელ-ფეხს უკრავენ ოსმალეთს.

განინგტონის გამგზავრება ლონდონში.

ბერლინი. 21 მარტი. სტამბოლის ცნობების მიხედვით, ინგლისის მთავრობამ სასწრაფოდ მოიწვია ლონდონში სტამბოლის მოკავშირეთა ჯარების მთავარ სარდალი გენერალი გარინგტონი, რომელმაც მოხსენება უნდა გააკეთოს სამხედრო-საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. გარინგტონს განზრახული აქვს დარჩეს ლონდონში 2 კვირის ვადით. მის დაბრუნებამდე მოკავშირეთა ჯარების სარდლობას ჩაიბარებს იტალიის გენერალი მონბელი.

ადგენენ პასუხის ტექსტს.

ლონდონი. 21 მარტი. ლონდონში, პარიზში და რომში განაგრძობენ ანგორის მთავრობის უკანასკნელი ნოტის პასუხის პროექტის შედგენას. მოკავშირეთა წარმომადგენლების გაერთიანებულ თათბირზე გადასწყვიტეს, რათა პასუხის გადაცემა არ იქნეს გადადებული. პასუხის ძირითადი საკითხი იქნება შემდეგი: საჭიროა თუ არა ლოზანას-კონფერენციის განახლება და თუ საჭიროა, როდის და სად უნდა მოხდეს მისი განახლება.

ვენიზელოსი ლონდონში.

ლონდონი. 21 მარტი. ინგლისში გაკვირვებული არიან ვენიზელოსის პარიზიდან ლონდონში ჩამოსვლით. ფიქრობენ, რომ მისი ჩამოსვლა დაკავშირებულია ოსმალეთის კონტრ-წინადადებათა მომავალ განხილვასთან.

არ სურთ დასცალონ მესოპოტამია.

ლონდონი. 21 მარტი. მომავალში გამოაქვეყნებენ მთავრობის კომისიის გადაწყვეტილებას მესოპოტამიის საკითხის შესახებ. კომისიის წევრთა უმრავლესობა იმ აზრს ადგია, რომ სანამ არ იქნება დადებული ზავი ოსმალეთთან და გამორკვეული მოსულის ბედი, მანამ ინგლისს არ შეუძლია მესოპოტამიის დაცლა და თვით იმ შემთხვევაშიაც თუ ზავი დადებული იქნება, მესოპოტამიის ევაკუაცია მოხდება მხოლოდ 5—6 წლის შემდეგ. ინგლისის უმაღლესი კომისარი მესოპოტამიაში კოკსი გაემგზავრა ლონდონიდან ბაღდადში.

ინგლისის ამბები

ინგლისის პრესა ოსმალეთის კონტრ-წინ დადებების შესახებ.

მოსკოვი. 21 მარტი. ლონდონის გაზეთებს მოჰყავს ოსმალეთის კონტრ-წინადადებების მოკლე შინაარსი, თავს იკავებენ რა ჯერ კომენტარიებისაგან მოკავშირეთა ექსპერტების მომავალ კონფერენციის გამო. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ გაზეთი „ობსერვერ“-ი, რომელიც აღნიშნავს, რომ ოსმალეთის კონტრ-წინადადებები წარმოადგენს გამოწვევას სამივე დიდ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებენ ოსმალეთთან და მით აიძულებს მათ შექმნან მთლიანი ფრონტი ოსმალეთის წინააღმდეგ.

გაფიცვის წინ.

მოსკოვი. 21 მარტი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ 19 მარტს უნდა დაიწყოს სამხრეთ-უელსის 15.000 მემაღაროეთა გაფიცვა. გაფიცვას მიზნათ აქვს აიძულოს დამქირავებლები შესწყვიტონ კავშირის გარეშე მუშათა მიღება. პოლიცია იღებს ზომებს, რათა აცილებულ იქნას შესაძლებელი უწესრიგობა.

პირველი გამოწვევა.

მოსკოვი. 21 მარტი. ლონდონის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ მუშათა პარტიის წარმომადგენლის სნოუდენის რეზოლიუცია, რომელიც შეტანილი იქნება თემთა პალატაში ხვალ, არის პირველი გამოწვევა ინგლისის პარლამენტისა სოციალისტების მიერ. მოელიან, რომ ყველა პარტიები ერთხმად უარჰყოფენ ამ რეზოლიუციას. განსაკუთრებულ მნიშვნელობას აკუთვნიან დამოუკიდებელ ლიბერალების პოზიციას, რომლებსაც ბევრი რამ აქვთ საერთო მუშათა პარტიასთან, მაგრამ პირველად ილაშქრებენ უშუალოთ მუშათა პარტიის წინააღმდეგ.

პოლონეთის ამბები

„ეროვნული“ დღესასწაული.

მოსკოვი. 20 მარტი 16 მარტის დღე. როდესაც ანტანტის სახელმწიფოებმა პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვრები იცვნეს, გამოცხადებულია პოლონეთის ეროვნულ დღესასწაულათ.

პოლონეთის არმიის დათვალიერება.

პარიზი. 21 მარტი. ინგლისის პრესის ცნობით, ინგლისის გენერალურ შტაბის უფროსი მიემგზავრება ვარშავაში პოლონეთის არმიის სანახავათ და დასათვალიერებლათ.

აღმოსავლეთ გალიციის საკითხი.

მოსკოვი. აღმოსავლეთ გალიციის შესახებ ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილების გამო უკრაინის ნაციონალისტების ნაწილი გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარ კოსტლევიცკის მეთაურობით დაადგა პოლონეთთან შერიგების გზაზე იმ პირობით, რომ აღმოსავლეთ გალიციას მიენიჭება ავტონომია. პეტრუშკევიჩს და მისი მომხრეთ განზრახული აქვთ განაგრძონ აღმოსავლეთ გალიციას დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის კომპანია.

უმუშევრობა იზრდება.

მოსკოვი. 21 მარტი. უმუშევრობამ—ვარშავაში მიიღო მწვავე ხასიათი. ოფიციალური ცნობებით იანვარში და თებერვალში დაიხურა სავსებით 36 ფაბრიკა, სადაც მუშაობდენ საერთო რიცხვით 35000 მუშა, 3 ფაბრიკაში მუშაობა სწარმოებს ოთხჯერ კვირაში, 16 ფაბრიკაში, სადაც მუშაობს 18400 კაცამდე, მუშაობა სწარმოებს მხოლოთ სამჯერ კვირაში.

პროტესტის დემონსტრაცია.

მოსკოვი. 21 მარტი. ლვოვში მოხდა გრანდიოზული დემონსტრაცია ელჩთა საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილების წინააღმდეგ აღმოსავლეთ პოლონეთის საზღვრების შესახებ. პოლიციის კომისარმა უბრძანა ძალით გაერეკათ 10000 კაციდან შემდგარი დემონსტრაცია და დაეპატიმრებიათ ყველა მეთაურები. პოლიციამ გარეკა დემონსტრატები და დააპატიმრა 10 კაცი. სხვათა შორის ამ დემონსტრაციაზე გამოვიდა სეიმის დეპუტატი ლუცკევიჩი, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ელჩთა გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება გალიციის ხალხის სურვილებს.

შვეცია

იმპერიალისტების წინააღმდეგ.

მოსკოვი. 21 მარტი. შვეციის კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტეტის დადგენილების თანახმად შვეციის სხვა და სხვა ადგილებში გაიმართა 50-დე მიტინგი რურის ოკუპაციის, ფაშიზმის და სამხედრო საშიშროების წინააღმდეგ. ყველგან მიტინგებზე აუარებელი მუშა დაისწრო.

სოციალ-დემოკრატები მუშათა დიქტატურის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 21 მარტი. კომუნისტური პარტიის მიერ შვეციის რიკსდაგში საარჩევნო ჰასაკის 21 წლამდი დაყვანის შესახებ შეტანილ წინადადების გამო, სოციალ-დემოკრატებმა გაილაშქრეს პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ამის საპასუხოთ დეპუტატმა ჩილბუმმა განაცხადა, რომ მიუხედავათ ასეთი თავდასხმებისა, საბჭოთა მთავრობა მტკიცედ დგასო. კომუნისტური პარტიის წინადადება პირველ პალატაში უარყოფილ იქნა 74 ხმის უმრავლესობით 35 წინააღმდეგ, მეორე პალატაში კი—101 ხმით—78 წინააღმდეგ.

კომუნისტებს უჭერენ მხარს.

მოსკოვი. 21 მარტი. მაგარი სასმელების გაყიდვის წინააღმდეგ მებრძოლმა კავშირმა, რომელშიც 17.000 წევრია, მიიღო კომუნისტური ხასიათის რეზოლიუცია.

მემამულეების მიწები გლეხებს!

საციხურის თემი (გორის მაზ.)

რევოლიუციონური წესით მიწის რეფორმის ჩატარება უკვე დამთავრდა საციხურის თემში.

ჯერ არ გადადგმულა გლეხ-კაცის ცხოვრებაში ისეთი დიდი ნაბიჯი, როგორიცაა მიწის რეფორმა. ამას ნათლათ ამტკიცებს ის სულიერი აღფრთოვანება, რომელიც დღეს არსებობს მშრომელ გლეხობაში. საბჭოთა ხელისუფლებამ პირნათლათ აუსრულა გლეხობას საუკუნებით ჩანერგილი სურვილი.

კიდევ უფრო აღსანიშნავია გლეხების სიხარული მავნე პირების გადასახლების შესახებ. გლეხების გუშინდელი წურბელები, რომელიც ხორცმეტებივით ასხდნენ მათ,—დაუნდობლათ იდევნებიან მშრომელთა წრეებიდან.

როდესაც ვაქვეყნებდით გადასახლებულ თავადაზნაურების ამბავს, გლეხების სიხარულს საზღვარი აღარ ქონდა: არ ჯეროდათ თუ ყველაფერი ეს მართლა ხდებოდა. ყველა სოფლებში დროშებით და ზურნებით გვეგებებოდენ. „ჩვენი აღდგომა სწორეთ დღეს გაგვითენდა“-ო გვეუბნებოდენ.

საერთოთ მშრომელი ხალხის გული მეტათ ლმობიერია. ეს თემი შავრაზმელების ბუდე იყო. ბევრი მშრომელის უმანკო სისხლი დაღვრილა მათი მურტალი ხელით. აქ მოჰკლეს 1905 წლის მებრძოლი ამხანაგები: იასონ ცაბაძე, გიორგი გაბლიშვილი (თაგუნა) და სხ. მრავალი ამხანაგები; ვანო გლეხიშვილი გადასახლებულ იქნა ციმბირში და იქ გამოესალმა წუთისოფელს.

ბევრი არიან კიდევ მათ ბასრიან კლანჭებს გადარჩენილი, ციხე ციმბირში ნაწამები ამხანაგები, რომლებიც პირად მონაწილეობას იღებდენ დღეს თავად-აზნაურების გადასახლებაში, ბედნიერათ სთვლიდენ თავს, რომ თავიანთი თვალით ნახეს ეს დღე. მშრომელ ხალხს არ ჩვევია სამაგიეროს გადახდა, სისხლის-სისხლით გაბანვა. გადასახლების დროს მეტათ დიდ დაკვირვებას და გულკეთილობას იჩენდენ ამხანაგები. არ გადაგვისახლებია არც ერთი მშრომელი თავად-აზნაური, თუ რასაკვირველია საზიზღარი წარსული არ ჰქონდა.

ყველა დიდ სოფლებში დავდიოდით მე და ამხ. შალიკო იაკობაშვილი (გორის მაზრის აღმასკომის წარმომადგენელი), სხვა სოფლებში ამხ. ს. ბარბაქაძე. თვითეულ სოფელში გვიხდებოდა მუშაობა 2—3 დღე.

დიდ ყურადღებას ვაქცევდით გლეხების ქონებრივ მდგომარეობას, და მიწის ხარისხის ავ-კარგიანობას. იმ სოფლებში, სადაც მიწების სივიწროვე იყო და ნორმა არ ხვდებოდათ, ძლიერ გვიძნელდებოდა მუშაობა. სამწუხაროთ, ჯერ კიდევ ღრმათაა გამჯდარი გლეხობაში „მამა-პაპეული ნადელ-ნაყიდების“ ფანატიზმი. ამის გარდა გვიძნელდებოდა მიწის რაოდენობის სისწორით გაგება. იმ მოსაზრებით, რომ მეზობელ სოფელს არ ესარგებლა მათი მამულით, ბევრგან მალავდენ ასობით დღიურს. ასეთი კარ-ჩაკეტილობა ძლიერ აფერხებს რეფორმის სისწორით განხორციელებას.

მიუხედავათ ასეთი შემაფერხებელი მიზეზებისა, მაინც საგრძნობლათ დავაკმაყოფილეთ უმიწაწყლო გლეხობა ამ მცირე დროის განმავლობაში ჩვენ შევძელით იმდენის გაკეთება, რასაც ჩვენი ბიუროკრატი მიწის მზომელები ვერ გააკეთებდენ სამ წელიწადს.

მთელს თემში ჩამორთმეულია 1675—7|8 დღიური სახნავი მიწა. განაწილებულია 1496—3|8 დღიური 680 გლეხზე. იშვიათი იყო ისეთი გლეხი რომელსაც მიცემული მიწების გარდა არ ჰქონოდა თავისი საკუთარი მიწა. ჩამორთმეულია 14 წისქვილი, რომლებიც გადაეცა იჯარით ულარიბეს გლეხებს. ჩამორთმეულია თავად-აზნაურების სახლები 20, რომლებიც გადავიდა ადგილობრივი სოფლის საჭიროებისათვის: სკოლების, ბიბლიოთეკა-სამკითხველოს კომ-უჯრედის, ბიუროებისათვის, და სხ. დანარჩენი თავისუფალი ოთახები დაუნაწილდა უსახლკარო გლეხებს. ჩამოერთვა გადასახლებულ თავად-აზნაურებს მუშა-საქონელი, და გადაეცა უხარო ღარიბ-გლეხებს. აყვანილია აგრეთვე აღრიცხვაზე შეძლებული კულაკების ნორმაზე მეტი საქონელი, რომლებიც მოვალენი არიან საჭიროების დროს დაეხმარონ გაჭირვებულ ქვრივ-ობლებს. გადასახლებულ თავად აზნაურების რიცხვი უდრის 43-ს.

ასე დამთავრდა რევოლიუციონური მიწის რეფორმა. საბ. ხელისუფლებამ პირნათლათ შეუსრულა გლეხობას მისი ნატვრა.

ა. ცაბაძე.

ახალციხის მაზრა.

ახალციხის მაზრაში მიწის რეფორმა ჩქარის ტემპით ტარდება.

მიწის რეფორმის რევოლიუციონური გზით გატარებამ სოფლის ბევრი მტკივნეული ადგილი გამოამჟღავნა.

ბევრ ადგილებში აშკარათ დამტკიცდა სოფლის „კულაკების“ და ყოფილ მემამულეების ძველებურათ განუკითხავი თავაშვებულობა. მცირე მიწის მქონე და უმიწაწყლო ფუხარა-გლეხები ამუშავებდენ კულაკების, მემამულეების და ქალაქის ვაჭრების სახნავ მიწებს და ბაღებს. ამის მაგალითები ახალციხის მაზრაში ბევრი არ ყოფილა, მაგრამ მას მაინც ჰქონდა ადგილი.

ახალციხის მაზრის მცხოვრებნი კულტურულათ, საქართველოს სხვა კუთხის მცხოვრებთან შედარებით, დაბლა დგანან. აქ უმრავლესობა არის ქართველი მაჰმადიანები, სომხები და მცირე რიცხვი ქართველ ქრისტიანეთა, რუსები, ბერძნები და სხვათა. ქართველი მაჰმადიანები თავიანთ თავს მუსულმანებს უწოდებენ და რასაც მათი მოლა ეტყვის, იმას უცვლელათ ასრულებენ. წერა-კითხვა ასეთ სოფლებში მოლას გარდა თითქმის არავინ არ იცის. მოლა ასეთ ბნელ მასებში შეუზღუდველ გავლენას ჰპოულობს.

მიწის რეფორმის გატარების დროს ჩვენ ვსარგებლობდით შემთხვევით და სოფლის საერთო კრებებზე, მიწის რეფორმის შინაარსისა და მნიშვნელობის გარდა, ვსწევდით ანტირელიგიურ აგიტაციას. აგრეთვე უმარტავდით საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელობას მუშსა და ღარიბგლეხებს. ამ პროპაგანდას ვაწარმოებდით მეტათ მდაბიო, გასაგებ ენაზე და ულარიბესი ფუხარა-გლეხები აღფრთოვანებით ეგებებოდენ მას. ყოველი მოხსენება იწვევდა ბოლოს საერთო ყიჟინას: „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას“.

სოფლის მიწის კომიტეტებში ზოგან შეპარულიყვენ „კულაკები“ და ეკლესიის „სტაროსტებიც“-კი. ყოველ სოფელში მოხდა კომიტეტების ხელმეორეთ არჩევნები, რომლებშიც მოხვდნენ უმიწო და მცირე მიწიან ფუხარე-გლეხები.

თითქმის ყველა მუსულმანურ სოფლებში გვიხდებოდა დიდი ბრძოლა იმის შესახებ, რომ „დავთრები“ წარმოედგინათ. ამ დავთრებში მოთავსებული იქნებოდა შედარებით სწორათ, თუ ვის რამდენი მიწა აქვს და რამდენი სულისაგან შესდგება მათი ოჯახი. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის სამაზრო განყოფილებაში იყო ანალოგიური ცნობები, მაგრამ მეტათ ვიწრო და არა სრული. ასე რომ მასზე დაყრდნობა რეფორმის ჩატარების დროს ყოვლად შეუძლებელი იყო. უმრავლესობა წარმოდგენილ დავთრებისა იყო ორი-სამი დღით ადრე დაწერილი მოლების მიერ.

ძველ დავთრებს სრულიად მალავდენ. აშკარად ვგრძნობდით, რომ სოფელი შეთქმული იყო არ ეთქვათ მიწის სწორი რაოდენობა. როგორც გავიგეთ, კულაკებს და მოლებს დაუშინებიათ ეს გაუნათლებელი ღარიბი გლეხები და უთქვამთ, რომ თუ აცნობეთ მთავრობას მიწის ნამდვილი რაოდენობა, მაშინ მიწის მიხედვით მოგემატებათ გადასახადებიო.

ამას გარდა კულაკების, ყოფილ მემამულეების და მოლების შიში და მოკრძალება კიდევ აქვთ და მათგან გაფრთხილებულნი მალავენ მიწის რაოდენობას.

თითქმის ყველა სოფლებში მაინც მოვახერხეთ რამოდენიმე დესეტინა მიწების ჩამორთმევა. ზოგან საგრძნობათ ჩამოვართვით. ეს მიწები გავანაწილეთ ულარიბეს გლეხებში და უთხარით ამ შეუგნებელ სოფლის კომიტეტებს, თუ ვის რამდენი დესეტინა უნდა ჩამოერთვას და ვის უნდა მიეცეს. მიწის ჩამოთმევა გრძელდება.

მიწის რეფორმის ჩატარებამ უდიდესი რევოლიუციონური გავლენა მოახდინა სოფლის ულარიბეს გლეხებზე. ისინი თანდათან რწმუნდებიან, რომ მათი ნამდვილი დამცველი არის საბჭოთა [illegible] და სხვა სოფლის [illegible] კარა [illegible].

ფუხარა-გლეხები პრაქტიკულათ დარწმუნდენ ამაში. ეს უკულტურო ბნელი მასსა გაყინულ წერტილიდან დაიძრა. მიწის რეფორმის პრაქტიკულათ გატარება სოფლის ცხოვრებაში მბრწყინვალე მანათობელ სხივებათ შეიჭრა.

საბჭოთა მთავრობამ მიწის რეფორმის გატარებაში საბოლოოთ მოიგო ღარიბი გლეხების გული მთელი ულარიბესი გლეხობა მტკიცეთ შემოკრება საბჭოთა ხელისუფლების გარშემო.

ჰ. ხუნდაძე.

ზემო-გომის თემი.

გომის თემში სასურველად სწარმოებს მიწის რეფორმის ჩატარება, რასაც ულარიბესი გლეხობა აღფრთოვანებით ეგებება. წინააღმდეგობას ადგილი არა ჰქონია მიწების ჩამორთმევის დროს მემამულეების მხრივ. შემოსულია შიგა და შიგ საჩივარი, რომელიც ირჩევა დღის განმავლობაში ადგილობრივ სათემო მიწის რეფორმის ჩამტარებელ კომისიის მიერ. მიწები ჩამორთმეულია 1.500 დესეტინა, დარიგებულია 1.200 დესეტინა და ფონდში გადავიდა 300 დესეტინა. ზოგიერთ სოფლებში სრული ნორმა ხვდებათ და ზოგიერთ სოფლებში კი მამულის სინაკლულეა. ჩატარებულია მიწის რეფორმა უფრო დიდსა და მნიშვნელოვან სოფლებში—20 სოფელში, ჩასატარებელია 10 პატარა სოფელი, რაც სამ დღის განმავლობაში დამთავრდება.

აგრეთვე ჩამორთმეულია ვაჭრებისა და მდიდარ თავადებისგან 5 სახლი და შემჭიდროება მოხდა 25 ოთახით, სადაც მოთავსებულია ზოგში შრომის სკოლა, ზოგში ქოხ-სამკითხველოები და ზოგში კი ჩასახლდენ უბინაო გლეხები და მუშა-მოსამსახურენი.

5 მარტს ა. წ. გაიხსნა ს. გომში ფოსტა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ მცხოვრებლებისთვის.

ამავე დროს დაიწყო გზებისა და ხიდების შესაკეთებლად აგიტაცია თემკომის მიერ, რომელსაც აღტაცებით ეგებებიან მცხოვრებნი და გამოსთქვამენ სურვილებს შეაკეთონ თავიანთ საკუთარი შრომით, რისთვისაც ირჩევენ შაბათობის მომწყობ კომისიებს, რომლებსაც ავალებენ საჭიროდ მოაწყონ შაბათობა გზებისა და ხიდების შესაკეთებლად.

გომის სახელმწიფო სპირტის სახდელ ქარხანამ დაიწყო ახალი გზის გაყვანა სად. გომიდან ქარხანამდის, მანძილი უდრის 1 ვერსს; გაკეთებულია უკვე ამ გზის ერთი ხიდი, და გზის აქეთ-იქით გვერდებზე ამოღებულია „კანაოები“ და მალე ხრეშის დაყრაც დამთავრდება. მუშაობას ხელმძღვანელობს ქარხნის კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. ზაბუცკი.

ნოზაძე.

შორეულ აღმოსავლეთში

იაპონია.

დამოკიდებულება რუსეთთან.

მოსკოვი. 21 მარტი იაპონიაში განზრახულია რუსეთის ხე-ტყის საექსპლოატაციო სააქციო კომპანიის შექმნა, კომპანიას 100 მილიონი იენა ექნება. კომპანიის დაწესების პროექტი უკვე მოწონებულია სამინისტროს მიერ.

იაპონიის კონტრ-დაზვერვა მანჯურიაში.

მოსკოვი. 21 მარტი. ჩიტიდან მოსულ ცნობებით, მანჯურიაში მოქმედება დაიწყო იაპონიის კონტრ-დამზვერავმა რაზმმა, რომელიც დაწესებულია იაპონელების მიერ კორეელთა განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის თვალყურის სადევნელათ.

სხვადასხვა ამბები

საბერძნეთი.

კონფლიქტი რევოლიუციონერთა შორის.

მოსკოვი. 21 მარტი. საბერძნეთის პრესა იტყობინება საბერძნეთის რევოლიუციის მთავარ ხელმძღვანელთა შორის მომხდარ კონფლიქტის შესახებ. იმავე ცნობების თანახმად საბერძნეთის არმიის სარდალი გენერალი პანგალოსი, მოითხოვს მინისტრთა კაბინეთის თავმჯდომარის, პოლკოვნიკ გონატასის და რევოლიუციონურ კაბინეთის თავმჯდომარის პლასტირასკის გადადგომას იმის გამო, რომ ისინი უარს ამბობენ საბერძნეთში რესპუბლიკის გამოცხადებაზე.

სტუდენტთა გამოსვლა ბუდაპეშტში.

ბერლინი. 21 მარტი. ბუდაპეშტის უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტების სტუდენტთა განმეორებითი გამოსვლების გამო ხელის-უფლებათა განკარგულებით უნივერსიტეტი დახურეს.

ლიტვა

საკითხი მემელის შესახებ.

პარიზი. 21 მარტი. კოვნოდან პარიზში გაემგზავრა ლიტვის კაბინეთის თავმჯდომარე და მისივე წარმომადგენელი ერთა ლიგაში. გამგზავრების მიზანია პოლონეთის წარმომადგენლებთან ერთად გამოიმუშაონ ხელშეკრულობის პროექტი მემელის შესახებ.

უნგრეთში.

საკონტრიბუციო გადასახადები.

ბერლინი. 21 მარტი. „ევრ“ იტყობინება, რომ საკონტრიბუციო კომისიამ დაამტკიცა ჰუნგრეთის საკონტრიბუციო გადასახადები, რომელიც მან უნდა მისცეს სამხრეთ-სლავიას, ამ დადგენილების თანახმად ჰუნგრეთი ვალდებულია 1 მარტიდან მიაწოდოს სამხრეთ-სლავიას ყოველ თვიურათ 380,000 ტონი ნახშირი. მიწოდება უნდა სწარმოებდეს 1923 წლ. 31 დეკემბრამდე.

უმუშევართა აჯანყება.

ბერლინი. 21 მარტი. შტეტინში იფეთქა აჯანყებამ.

რუმინეთი.

ახალი კონსტიტუცია.

მოსკოვი. 21 მარტი. რუმინეთის პარლამენტმა ხმის უმრავლესობით მიიღო რუმინეთის ახალი კონსტიტუციის პროექტი.

ფინეთი.

დანიის დელეგაციის ჩამოსვლა.

მოსკოვი. 20 მარტი. ჰელსინგფორსში ჩამოვიდა დანიის დელეგაცია, რომელიც უნდა გაემგზავროს მოსკოვს დანიის და რუსეთ შორის მოლაპარაკების საწარმოებლათ.

პრესის მიმოხილვა

ფიქრები პარტიის შესახებ.

მოსკოვი. 21 მარტი. „პრავდაში“ მოთავსებულ წერილში „ფიქრები პარტიის შესახებ“ ამხ. ტროცკი იხილავს საკითხს: რაში მდგომარეობს გლეხობის მიმართ არა სწორ პოლიტიკის საშიშროება და ამბობს, რომ გლეხობას შეუძლია გამოვიდეს პროლეტარიატის ხელმძღვანელობიდან და მოხვდეს ბურჟუაზიის ხელმძღვანელობის ქვეშ. ეს საშიშროება ათკეცდება, როდესაც ლაპარაკია ცარიზმის მიერ დაჩაგრულ პატარა და ჩამორჩენილ ერების გლეხობის მასების და ახალგაზრდა არამრავალრიცხოვან პროლეტარიატის შესახებ. ნაციონალური კავშირი—კლასთან ეს იგივე კავშირია („მიჩკა“), რომელიც არა ერთხელ გამომჟღავნებულა ისტორიაში, როგორც მეტად მაგარი ცემენტი. ერთად ერთ სალ პოლიტიკათ აქ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც საქმით გვიმტკიცებს, რომ ნაციონალურ-კულტურული ინტერესები, რომლებიც ასე ხშირათ შელახულ იყო წარსულში, ნახულობენ ეხლა ისეთ დაკმაყოფილებას, როგორიც კი შესაძლებელია არსებულ ობიექტიურ პირობებში. გადადის რა შემდეგ საკითხზე პარტიულ ახალგაზრდობის აღზრდის შესახებ, ამხ. ტროცკი სწერს: „ეროვნული საკითხი პარტიის წინაშე თითქმის ჯერ არ დასმულა. პარტიას ხან და ხან გონია, რომ მან ის უკვე მოაგვარა. ეროვნულ საკითხში პარტიას უეჭველათ ესაჭიროება განმეორებითი კურსი, ახალგაზრდობას კი პირველ დაწყებითი. ეს საკითხი გავლილ უნდა იქნას თავის დროზე მეტად მაგარ პროგრამით. ვინც გვერდს უვლის ეროვნულ საკითხს, ის შეიძლება ძლიერ ადვილათ დამარცხდეს. ყველაზე უფრო ფართო დამოუკიდებლობა ნაციონალურ-კულტურულ დარგში სავსებით შესაძლებელია სამეურნეო ცენტრალიზაციის დროს. მაგრამ სამეურნეო ცენტრალიზაციის ნაციონალურ კულტურულ დეცენტრალიზაციასთან სახელმწიფოებრივი შეთანხმება—დიდი და რთული ამოცანაა, რომლის გადაჭრა მოითხოვს სიფრთხილეს, დაკვირვებას და სიმტკიცეს.

[illegible]

რუსეთი

ოდესის მუშების საჩუქარი.

მოსკოვი. 20 მარტი. ოდესის პარტიული კონფერენციის გახსნის დღეს ოდესის მუშებმა, წითელარმიელებმა და კომკავშირმა მოაწყო გრანდიოზული მანიფესტაცია, რკინისგზელებმა პარტიის იუბილეს დღეს საჩუქრის სახით ზედმეტი მუშაობის დროს შეაკეთეს ერთი ორთქმავალი.

წითელი დროშა პარტიულ კონფერენციას.

მოსკოვი. 20 მარტი. სრულიად ბაშკირეთის პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც გაიხსნა პარიზის კომუნის 52 წლის თავის დღეს, დაესწრენ პროფკავშირები, სამხედრო ნაწილები და მუშები, სულ 4000 კაცამდე. უპარტიოებმა და კომკავშირმა კონფერენციას გადასცა წითელი დროშა.

კონფერენციამ მისალმების დეპეშები გაუგზავნა კომუნისტურ ინტერნაციონალს და ამხ. ლენინს.

წითელი ფლოტი.

მოსკოვი. 20 მარტი. სრულიად უკრაინის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა უკრაინის მუშებსა და გლეხებს ძლიერი წითელი ფლოტის შექმნის შესახებ. მოწოდებაში ნათქვამია, რომ უკრაინის მუშებსა და გლეხებს ვალათ აწევთ შავი ზღვის ფლოტის აღდგენა. ახალგაზრდობა ფლოტს მისცემს საჭირო კადრს. ფლოტის აღდგენა შეუძლებელია უკრაინის მუშებისა და გლეხების მატერიალური დახმარების გარეშე.

ძმური დახმარება.

მოსკოვი. 20 მარტი. პეტროგრადის მუშებმა ნიკოლაევის უმუშევარ მეტალისტების სასარგებლოთ შეკრიბეს 13,000 მ. პეტროგრადის მუშები გამოსთქვამენ იმედს, რომ უკრაინის ყველა მუშები შეძლებენ და გვარათ დახმარებას აღმოუჩენენ გემების საალმშენებლო სამხრეთის ცენტრს.

ზარები განათლების საქმისათვის.

მოსკოვი. 20 ნარტი. სარატოვის გუბერნიის სოფ. რიბინკის გლეხებმა დაადგინეს გაჰყიდონ ადგილობრივი ეკლესიის ზარები და ფული მოახმარონ განათლეიის საქმეს.

იაპონიის ინტერვენციის შედეგების სურათების ჩვენება.

მოსკოვი. 20 მარტი. ჩიტადან სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაგზავნილი იქნება ფოტოგრამები, რომლებიც ხატავენ იაპონიის ინტერვენციით შორეულ აღმოსავლეთის სოფლის მეურნეობისათვის მიყენებულ ზარალს.

თურქესტანი

თურქესტანის პარტიული კონფერენცია.

მოსკოვი. 21 მარტი. დაიხურა თურქესტანის კომუნისტური პარტიის მეშვიდე ყრილობა. ყრილობაზე არჩეულია ცეკას ახალი შემადგენლობა. პარტიის 25 წლის იუბილეს დღესასწაულის დღეს, ყრილობის სხდომაზე გამოცხადდენ უპარტიო მუშების და ადგილობრივ სამრეწველო დაწესებულებათა წარმომადგენლები. რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან რუსეთის კომპარტიის ხელმძღვანელობით განაგრძონ ბრძოლა რევოლიუციონურ მონაპოვართა შენარჩუნებისათვის.

ციმბირის პარტიული კონფერენცია.

მოსკოვი. 21 მარტი. ნოვო-ნიკოლაევსკში გახსნილ საგუბერნიო პარტიულ კონფერენციას უპარტიო მუშებმა გადასცეს წითელი დროშა. რ. კ. პ. ციმბირის ბიუროს მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ციმბირის პარტიულ ორგანიზაციების უმრავლესობას შეადგენს გლეხობა (50—75 პრ.) დიდ პროცენტს შეადგენს აგრეთვე ახალგაზრდობა, რომელსაც ესაჭიროება ფართო კომუნისტური აღზრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა რუსეთის ცნობისათვის

ამერიკა.

მოსკოვი. 21 მარტი. ნიუ-იორკში გაიმართა მასიური მიტინგი, რომელიც მოაწყო „ბრომის კავშირმა“ საბჭოთა რუსეთის ცნობის სასარგებლოთ. მიტინგში მონაწილეობა მიიღო 6.000 მეტმა კაცმა. დიდი სიტყვით მიტინგზე გამოვიდა სენატორი ბორა, რომელმაც სასტიკათ გააკრიტიკა სახელმწიფო დეპარტამენტის უკანასკნელი განცხადება საბჭოთა რუსეთის არ ცნობის მიზეზების შესახებ. „ის ჯამი რომლითაც შევამცირეთ ინგლისის ვალი ამერიკისადმი,—სთქვა ბორამ,—ბევრჯერ დაფარავდა რუსეთის ვალს ამერიკისადმი. ჩვენი ვაჭრები ცდილობენ კომერციული კავშირის დაჭერას რუსეთთან, ეს ფაქტია, დ შეუძლია თუ არა ვინმეს,-კითხულობს ბორა,—დაასახელოს ერთი შემთხვევა საბჭოთა მთავრობის მიერ დადებულ ხელშეკრულების დარღვევის“.

სოც.-რევ. პარტიის უბრალო წევრების ყრილობა

მოსკოვი. 21 მარტი. 20 მარტს ესერთა პარტიის უბრალო წევრთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე მიმდინარე მომენტის შესახებ გამართულ კამათის დროს დელეგატები აღნიშნავდენ, რომ საჭიროა თავი დაანებონ „ნაროდნიკულ“ სოფლმხედველობას და შეისწავლონ მარქსიზმის საფუძვლები. იმავე სხდომაზე, სალამოს ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ რუსეთის რევოლიუციის ხანაში ესერთა პარტია სავსებით დაიშალა, რის გამოც პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს, ცეკას წევრთა და ემიგრანტთა სახით, რომელთაც უღალატეს რევოლიუციონურ სოციალიზმის აღთქმებს, არ აქვთ უფლება ილაპარაკონ ესერების პარტიის სახელით. რეზოლიუცია მოუწოდებს მუშათა და გლეხთა მოძრაობის ერთგულებს შეუერთდენ კომუნისტურ პარტიას. ყრილობამ აირჩია სრულიად რუსეთის კომისია ყრილობის გადაწყვეტილებათა სისრულეში მოსაყვანად. ამ კომისიის შემადგენლობაში შევიდენ: კონონოვი, როლენდერიდა ომგენშტერნი. სხდომაზე ომგენშტერნმა სხვათა შორის განაცხადა, რომ დელეგატების განკარგულებაში მყოფ ცნობების თანახმად, დაპატიმრებულ ესერთა ერთი ნაწილი სავსებით იზიარებს ამ ყრილობის პლატფორმას. ამის გამო ყრილობამ დაადგინა მიმართოს დაპატიმრებულ ესერებს მოწოდებით ფორმალურად შეუერთდენ ყრილობის გადაწყვეტილებებს. მაგრამ ყრილობა აღნიშნავს, რომ საჭიროა ძალიან ფრთხილი მოქმედება, რათა ყრილობის მოპატიჟებით არ ისარგებლონ იმ პირებმა თავის მიზნებისათვის, რომელთაც კავშირი არ აქვთ გაწყვეტილი ესერების ცეკასთან და საზღვარ-გარეთელ ჯგუფთან.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

სახალ. მეურნეობის უმაღ. საბჭო. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამმართველო ამ ჟამად წარმოადგენს სამ პირისაგან შემდგარ კოლეგიას.

თავმჯდომარის დამხმარეთ, იმის შემდეგ, რაც ტეხნიკურმა საბჭომ ვერ მოგვცა დადებითი შედეგები, სახალხო კომისართა საბჭომ გაგზავნა ორი პასუხისმგებელი ამხანაგი მიაკოტინინი და კუიბიშევი. ჯერჯერობით ფუნქციები და სამმართველო არ არის განაწილებული. ეტყობა, რომ საერთო სურვილია ორგანოს მუშაობა ჩააყენონ მეურნეობის კალაპოტში და გადააქციონ ის სახალხო მეურნეობის ნამდვილ ხელმძღვანელათ და ცენტრათ. განზრახულია ყველა განსაწილებელი ფუნქციები ჩამოაშოროს სამმართველოს და გადასცენ სახელმწიფოს უნივერსალურ მაღაზიას, კოოპერაციას და საწყობებს. განყოფილებებმა და წარმოებებმა თითონ უნდა აგონ პასუხი თავის საქმის წარმოებაზე და ანგარიშ-წარმოებაზე ცენტრის ინსტრუქციისა და კონტროლის ქვეშ. განზრახულია მასალების და ინვენტარის ანგარიშზე [illegible]ებით და შეფარდებით გამორკვეს, რამდენადაც არ უნდა დაჯდეს ძირითადი და საბრუნავი სახელმწიფო ფონდები, რაზედაც შესაძლებელი იქნება აშენდეს წარმოებათა [illegible]. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს არსებობიდან პირველათ მოხდა ქონებისა და შენობის აღწერა, [illegible]ერთად პირველათვე შეუდგნენ სახელმწიფო ქირის და კომუნალურ დახმარების გადასახადთა შეკრებას; დაჩქარებით იხილავენ მოსამსახურეთა [illegible]რად შემადგენლობას, მთელი რიგი გამგეობის პერსონალური შერჩევის გზით შეცვლილია ახლებით.

აზერბეიჯანი

სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. აზერბეიჯანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მეორე საგანგებო სესიამ, განიხილა რა დეკლარაციის პროექტი სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ, რომელიც დადებულ იყო რ. ს. ფ. ს. რ., უ. ს. ს. რ., ამკ. ს. ფ. ს. რ. და ბ. ს. ს. რ. საბჭოთა ყრილობების სრულუფლებიანი დელეგაციების მიერ, დაადგინა: დამტკიცებულ იქნას დეკლარაცია კავშირის შექმნის შესახებ და აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების ხელშეკრულება უცვლელათ.

სომხეთი

ერევანი 20 მარტი.

სომხ. კომ. პარტ. ცენტ. კომიტეტი. გაუწყებთ, რომ სომხ. კომ. პარ. ცენტრალურ კომიტეტში არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები: ამბარცუმიანი, ლუკაშინი, მეგრაბიანი, იოანესიანი, აზატიანი, ამირხარიანი, აკესოგლიანი, ბაკუნციტრულკევრიანი, მრავიანი, ოვსეპიანი, მიასნიკოვი, შაცსუვარიანი, შახგელდიანი, ჩუბარინი, კერი დ. შავერდოვი და ტერ-სიმონიანცი. არჩეულია აგრეთვე ხუთი კანდიდატი.

სომხეთის წითელი ჯვარი.

პირველ აპრილისთვის მოწვეულია სომხეთის წითელი ჯვარის საზოგადო კრება.

ხორბლეული სომხეთისათვის.

ნოვოროსისკიდან იტყობინებიან, რომ იქიდან გადმოგზავნილია სომხეთისათვის ხორბლეული 12-ე, 13-ე და 14-ე მარშრუტებით.

სომხეთის კომ. პარ. ცენტრ. კომიტეტში.

თავის უკანასკნელ სხდომაზე სომ. კომ. პარტ. ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: იქნეს მიღებული და გამოქვეყნებული დროებითი წესები სამოქალაქო საქმეების სასამართლოს დაწესებულებებისადმი დაქვემდებარების შესახებ, დაარსებული იქნეს ცენტრალურ კომიტეტთან ფიზიკურ კულტურის საბჭო.

თესლით დახმარება. ცენტრალურმა ტროიკამ გადასცა ერევნის მაზრას 16.300 ფუთი ხორბალი, რომელიც დანაწილებულია რაიონებს შორის შემდეგნაირათ: კოტაიკსკის რაიონს—20 ფუთი, არაზდაიიანსკის—1.300 ფუთი, კამარლინსკის—2 000 ფ., ვაშგარლინის—2500 ფ., ახტინის—4500 ფ., ვედიბასარას--3000 ფ., ქალაქ ერევანს—1000 ფ. ხორბლეულის ნახევარი უკვე მიიტანეს ადგილებზე, დანარჩენი ნაწილა კი საჩქაროთ იგზავნება.

მეაბრეშუმეთა ყრილობა

(2-ე სხდომა).

თავმჯდომარეობს გრიგორიანი. მოხსენებლებს მოყავთ დამატებით ცნობები ყრილობის წევრთა შეკითხვებზე, ამიერ-კავკასიაში მეაბრეშუმეობის მდგომარეობის შესახებ.

ამხ. **ივანოვი** უპასუხებს რა შეკითხვებზე, აღნიშნავს, რომ რამდენიც უნდა მივცეთ მეაბრეშუმეებს საზღვარ-გარეთიდან მოსული აბრეშუმის თესლი, ისინი მაინც შინაურ თესლს მოაშენებენ.

ეს მოვლენა არ არის სასურველი და მასთან საჭიროა ბრძოლა. აბრეშუმის თესლის ჭარბობა იწვევს თესლის გაიაფებას, და ამით გამოწვეული [illegible]ბინების სივიწროვე, მოუვლელობა და სხვა. იწვევდა თესლის 50 [illegible] დაღუპვას.

ამ ჟამად ჩვენში ორგვარი თესლი [illegible], აქედან ერთი მათგანი [illegible] დაბალი ხარისხისაა, რაც იმ მიზეზებით აიხსნება, რომ აბრეშუ[illegible]ვის დროს არ არჩევენ ხარისხს და ერთნაირ საფასურს აძლევენ.

ამხ. ქუთათელაძე ფიქრობს, რომ აბრეშუმის თესლის ფასი ომამდე იყო 1 მ. 50 კაპ. კოლოფი. მაგრამ რამდენიმე ინსტანციის გავლის შემდეგ კოლოფი აბრეშ. თესლი ფასობს 20 მან. და 50 კაპ. ამ ჟამად კი აბრეშუმის თესლი ფასობს [illegible]. როდესაც სამტრედიაში [illegible] ქარხანა, ლიონის კონცე[illegible]ბმა მიღებული აბრეშუმი სირიის და საფრანგეთის აბრეშუმთან ერთად დააყენეს თავისი ღირსებით.

ამხ. ნიუმელსონი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებამდე, აბრეშუმი გადიოდა ბათუმის შუამავლების საშუალებით, რომელნიც ასაღებდნენ ძალიან დაბალი ხარისხის პროდუქტს.

უკანასკნელ ხანებში აბრეშუმი თვით მთავრობას გაჰქონდა. შემდეგ ყრილობა გადადის შემდეგ საკითხზე.

თურქესტანის მეაბრეშუმეობის შესახებ მოხსენების გასაკეთებლათ სიტყვა ეძლევა თურქესტანის წარმომადგენელს ამხ. **იუროვსკის**, რომელსაც ჯერ მოჰყავს ისტორიული მიმოხილვა თურქესტანის მეაბრეშუმეობის შესახებ და გადადის მეაბრეშუმეობის ეკონომიურ მნიშვნელობის საკითხზე. აღნიშნა რა ის მიზეზები, რომელნიც აფერხებდენ თურქესტანში მეაბრეშუმეობის განვითარებას, ამხ. იუროვსკის მოჰყავს ინფორმაცია ამჟამად თურქესტანში მეაბრეშუმეობის მდგომარეობის შესახებ. ომის დროს საზღვრების დახურვის გამო, მეაბრეშუმეობა 1919 წლის განმავლობაში 6 პროცენტით დაეცა, ნაციონალიზაციის შემდეგ იგი 1923 წელს ავიდა 28 პროცენტამდე, ხოლო მიმდინარე 1923 წელს მიაღწევს 42 პროცენტს.

(მ-ე სხდომა)

ამხ. იუროვსკის დამატებითი ცნობები.

თავმჯდომარეობენ ამხ. ლინდე და გრიგორიანი. ამხ. იუროვსკი უპასუხებს რა შეკითხვებზე, დამატებით თავისი მოხსენებისა, „თურქესტანის რესპუბლიკაში მეაბრეშუმეობის მდგომარეობის შესახებ“, იტყობინება, რომ 1920—1921 წლ. მონოპოლიის შემდეგ აბრეშუმის თესლი ნაწილდებოდა მეაბრეშუმეთა შორის უფასოთ იმ პირობით, რომ სახელმწიფოსათვის უნდა მიეცათ მათ აბრეშუმის პარკის ნაწილი.

ამ ჟამად თესლის განაწილების საქმე ძალიან საზარალოა „თურქესტანის აბრეშუის“ სამმართველოსათვის და სწარმოებს არა კომერციული, არამედ კულტურული მიზნით.

„თურქესტანის აბრეშუმის“ სამართველოს მიერ ამუშავებულია თურქესტანში პირველი აბრეშუმის დასახვევი ქარხანა. მისი პროდუქცია უდრის დაახლოვებით 35 ფუთს თვეში. კულტურული მუშაობა სწარმოებს უმთავრესად ორი აბრეშუმის სადგურების (სკობელევში და ტაშკენტში) საშუალებით.

აბრეშუმის გადამუშავების მრეწველობის მდგომარეობა საბჭოთა რუსეთში.

საბჭოთა რუსეთის სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი პროფესორი ლინდე აკეთებს მოხსენებას რუსეთში აბრეშუმის საქმის მდგომარეობის შესახებ. მოხსენებაში მოყვანილი იყო მრავალი სტატისტიკური ცნობები. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთის აბრეშუმის გადამმუშავებელ მრეწველობამ შეინარჩუნა მთელი თავისი მოწყობილება დ ყველა დანარჩენ ხელშემწყობ პირობებში მას შეუძლია გააფართოვოს თავისი წარმოება 75 პროცენტით და გადამუშავდეს 90.000 ფუთი ნედლი მასალა.

საერთო ეკონომიური პირობები, საბრუნავი საშუალებათა და ბაზრის უქონლობა, აიძულებს აბრეშუმის მრეწველობას შეამციროს წარმოება ომამდე არსებულ მოთხოვნილებებთან შედარებით. წელს გადამუშავებულია ნედლეულის შემდეგი რაოდენობა: პარკი—5.000 ფ., აბრეშუმი—5.000 ფ

მოხსენების შემდეგ ამხ. ლინდე უპასუხებს შეკითხვებზე.

აბრეშუმის თესლის საქმე ამიერ-კავკასიაში და სათანადო ღონისძიებანი.

მოხსენებას აკეთებს ამხ. ივანოვი. ერთი უმთავრესი შემაფერხებელი მიზეზთაგანი მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის, მომხსენებლის აზრით, არის ადგილობრივ აბრეშუმის თესლის საქმის სუსტი განვითარება. მაშინ, როდესაც საქართველოს სჭირდებოდა 70—90 ათასი კოლოფი თესლი, ადგილობრივ მზადდებოდა 15.000 კოლოფამდე და მთელი დანარჩენი თესლი მოჰქონდათ საზღვარგარეთიდან, და ზოგჯერ ძალიან ცუდი ღირსებისაც. მომხსენებელი აღნიშნავს შემდეგ ღონისძიებებს ადგილობრივ აბრეშუმის თესლის საქმის ასაღორძინებლად.

1. აბრეშუმის თესლის საქმის კერძო წარმოების უფლება აქვს ყოველ პირს, ან საზოგადოებას იმ პირობით, რომ საქმის ხელმძღვანელი უნდა იცნობდეს აბრეშუმის თესლის საქმის რაციონალურად წარმოებას.

2) თესლის მწარმოებელთ მიეცეთ უფლება როგორც უნდათ მოიხმარონ აბრეშუმის თესლი, მას შემდეგ როცა ეს თესლი ვარგისად იქნება ნაცნობი.

3) მთავრობა სათანადო პირობებში იძენს ამ თესლს.

4) აბრეშუმის თესლის სწარმოებელი დაწესებულება 5 წლით თავისუფალია ყოველგვარ გადასახადისაგან

თანამომხსენებელის სახით გამოდის ამხ. ქუთათელაძე, რომელიც ეხება რა ამიერ-კავკასიაში აბრეშუმის თესლის საქმის ისტორიას, აყენებს თეზისებს ამიერ-კავკასიაში აბრეშუმის თესლის საქმის განსავითარებლად სათანადო ღონისძიებათა შესახებ.

აზერბეიჯანში აბრეშუმის თესლის საქმის მდგომარეობის შესახებ მეორე თანამომხსენებლად გამოდის აზერბეიჯანის მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი პროფ. ალექსეევი. მისი მოხსენების მთავარი დებულება შემდეგში მდგომარეობს. მიუხედავათ იმისა, რომ აზერბეიჯანი ომამდე წარმოადგენდა ისეთ ქვეყანას, სადაც მეაბრეშუმეობა ძალიან იყო განვითარებული, აბრეშუმის თესლის საქმემ იქ მაინც ვერ წაიწია წინ: დღეს პირობები ძირიანად შეიცვალა და გამოჩნდენ ორგანიზაციები ადგილობრივ აბრეშუმის თესლის დასამზადებლად. მაგ. შემოტანილი თესლი უფრო ძვირათ ფასობს—5—6 მან. ოქრ. კოლოფი).

ადგილობრივ აბრეშუმის თესლის საქმის დაყენების საკითხის განხილვა გადაიდო შემდეგი სხდომისათვის-

პარტიული ცხოვრება

საუკუნო ხსოვნა და სახელი ბრძოლაში დაღუპულ საფრანგეთის კომუნარებს.

(რკინის გზათა სამმართველოს კომუჯრედში).

16 მარტს შესდგა რკინის გზათა სამმართველოსთან არსებულ კომუჯრედის საჯარო კრება, რომელსაც დაესწრნენ ახალგაზრდათა კომკავშირის წევრები და უპარტიო მუშა-მოსამსახურენი. სხვა საკითხებთან ერთად დღის წესრიგში იდგა მოხსენება საფრანგეთის კომუნის 52 წლის თავის შესახებ. ვრცელი მოხსენებები ამ საკითხზე გააკეთეს ამხ. ამხ. ვასილიევმა დ პაპკოვმა. მოხსენების მოსმენის შემდეგ კომუჯრედმა გამოიტანა ასეთი შინაარსის რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება ამხ. ვასილიევისა და თანა მოხსენება ამხ. პაპკოვისა პარიზის კომუნის 52 წლ. თავის შესახებ, ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან არსებულ კომუჯრედის საზოგადოება პატივისცემით იხსენიებს საფრანგეთის კომუნარებს, რომლებიც პირველად აღზდგნენ გაბედულად მყვლეფელთა წინააღმდეგ და ჩაუყარეს საფუძველი დიად ბრძოლას მუშათა კლასის იდეალებისათვის. თუმცა პარიზის კომუნას დიდხანს არ უცხოვრია, მაგრამ მან მაინც დასთესა ის ნაპერწკალი, რომელმაც 46 წლის შემდეგ დაანთო ალი საერთაშორისო რევოლიუციის. საუკუნო ხსენება, საუკუნო სახელი რევოლიუციონურ ბრძოლაში გმირულად დაღუპულ საფრანგეთის კომუნარებს.

მუშა კორ. **ვასილიევი.**

მიწად-მოქმედების კომისარიატის კომუჯრედში.

ამა წლის 13 მარტს მიწათ-მოქმედების კომისარიატში გაერთიანებული კრებაზედ ამა დაწესებულების კომუჯრედის წევრებთან ერთად ჩვენ უპარტიო თანამშრომლებმა და მუშებმა ამხ. ვასო კანდელაკის თავმჯდომარეობით მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ვ. სტურუასი, კომუნისტური პარტიის 25—წლის არსებობისა, მისი ისტორიულათ განვითარებისა და კომპარტიის ბელადების გმირული თავგანწირული ბრძოლის შესახებ, დავადგინეთ; ვესალმებით საქ. კომუნისტური პარტიის მეორე ყრილობას. უსურვებთ მას საქართველოს მუშათა და რევოლიუციონური მშრომელი გლეხობისთვის მედგარ და ნაყოფიერ მუშაობას.

სრულიათ დარწმუნებული ვართ, კომუნისტური პარტია, როგორც ნამდვილი მემკვიდრე მეცნიერული მარქსიზმისა, მოსარჩლე მშრომელთა და მაშვრალთა, დაიმსახურებს ყველა პატიოსანი მოქალაქის სიმპატიას, და შორს არ არის ის დრო, როდესაც ის არა თუ პარტიულებისათვის, არამედ უპარტიო მშრომელი მასებისათვისაც შეიქნება სათაყვანებელი.

ვესალმებით საერთაშორისო მუშა კლასის ბელადს, **ამხ. ლენინს და უსურვებთ მას ჯანმრთელობას მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.**

გაერთიანებული კრების თავმჯდომარე. **ვასო კანდელაკი.**

ქუთაისის მაზრა (მუშაობა თებერვალში).

ქუთაისის მაზრას მუდამ თვალსაჩინო ადგილი ეჭირა პარტმუშაობის მხრივ.

კავშირი ქვემდებარე ორგანიზაციებთან, მათი ხელმძღვანელობა სწარმოებდა სათანადო წესით. ასეთივე იყო უჯრედებში მუშაობაც. დისციპლინა სავსებით დაცულია. გაჩაღებულია პოლიტიკურ და მარქსისტულ წრეებში მუშაობა. ჩატარებულ იქნა მთელი რიგი კამპანიების, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი: კამპანიები რურის ოლქის ოკუპაციის გამო და ანტირელიგიური. ანტირელიგიური კამპანია როგორც პირველი, ისე მეორე ჩატარებულ იქნა მეტად ფართოდ და განსაკუთრებული ელფერით. თუ ერთის მხრივ რურის ოლქის ოკუპაციის გამო საპროტესტო დემონსტრაციებს დაესწრო მრავალი ხალხი და ჩატარდა დიდი ინტერესით, **მეორე მხრივ ქუთაისის მაზრაში მცხოვრებ არც ერთ მოქალაქეს არ დაავიწყდება ის მატყუარობა, რომელშიაც დარწმუნდნენ მცხოვრებლები დავით და კონსტანტინეს „წმინდა ნაშთების“ გახსნისა და გამომზეურების დროს. როდესაც „წმინდანების“ მაგივრად აღმოჩნდა ცხოველის უბრალო ძვლები.**

„ნაშთების“ გახსნის ამბავი ელვის სისწრაფით მოედვა მთელს მაზრას, მიაღწია სულ ჩამორჩენილ უბნებშიაც, სადაც ცხოვრობს რელიგიის ოპიუმით გაბრუებული „ძველი“ ხალხი. თუ ღრმათ მოხუცებულები არა, მომწიფებული დ ახალგაზრდები მაინც აშკარად ხედავენ რელიგიაში სრულ სიყალბეს და გარყვნილებას.

ამ ნიშნის შემდეგ თვით ადგილებმაც გააჩაღეს რელიგიისა და სამღვდელოების გასამართლება; ამ მიზანს ემსახურებოდნენ პრესა და მაზრის პარტორგანიზაციის საუკეთესო ძალებიც, გაცხოველებული ანტირელიგიური პროპაგანდისა და აგიტაციის წარმოებით.

ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია სწარმოებს საკმაო წარმატებით, ქ. ქუთაისში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია კარგახანია დამთავრდა, დარჩენილია მხოლოთ მაზრა, სადაც არსდება სკოლები როგორც სპეციალური წერა-კითხვისა, აგრეთვე შრომისაც. მაზრაში გამოდის გაზეთი „მუშა და გლეხი“ საკმაო ტირაჟით. გაზეთს ყავს კორესპოდენტები ყველა თემებში და უჯრედებში.

მუშაობა ქალთა-შორის.

რეგულიარულად სწარმოებს დელეგატ-ქალთა კრებები. დაწყებულია სამზადისი ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის სათანადოთ ჩასატარებლად. ქალთა კრებებზე კეთდება შინაარსიანი მოხსენებები სხვა და სხვა საინტერესო საკითხებზე და მუშაობა სწარმოებს პოლიტწრეებში.

მუშაობა ახალგაზრდათა შორის.

საანგარიშო თვეში ჩატარებულ იქნა კომკავშირის სამაზრო კონფერენცია, რომელიც სასურველათ დამთავრდა. კომკავშირი ღებულობს ყოველგვარ დახმარებას პარტიისაგან, როგორც იდეიურ, ისე მატერიალურ მხრივაც. კავშირი პარტიისა—კომკავშირთან კარგია.

კავშირი საბჭოთა ორგანოებთან.

სამაზრო აღმასკომი მუშაობდა პარტკომის ხელმძღვანელობისა და გავლენის ქვეშ. საბჭოთა აღმშენებლობაში მხურვალ მონაწილეობას ღებულობდენ გლეხებიც, მაგ. მიწის რეფორმის ჩატარებასა და სასურსათო ბეგარის შეკრებაში.

კოოპერაცია.

საანგარიშო თემში მოხდა შეერთება მუშათა კოოპერატივისა ქუთაისის სარაიონო კავშირთან „ერთიანი მომხმარებელი საზოგადოების“ სახელწოდებით. პარტია ხელმძღვანელობს კოოპერატიულ მუშაობას.

კავშირი წითელ არმიასთან.

წითელ არმიასთან არსებობს მტკიცე კავშირი. პარტკომის მიერ სწარმოებს მასში სააგიტაციო მუშაობა. პარტკომი ღებულობს ზომებს წითელი ჯარის ნაწილების მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. მაზაღმასკომი თავის განყოფილებებით ასრულებს შეფის მოვალეობას.

მუშაობა ტრანსპორტზე.

აღსანიშნავია ის პოლიტიკური გარდატეხა, რომელიც მოხდა ტრანსპორტზე მომუშავეებს (განსაკუთრებით მოხელეებს) შორის. რკინისგზებზე არსებობს კომუჯრედები, რომლებიც თავის გავლენას ავრცელებენ ირგვლივ უპარტიო რკინის-გზელებზე. **საანგარიშო თემში ძალიან გაიზარდა შეკეთებული ვაგონების და ორთქლმავლების რიცხვი.**

ი. შ.

მუშათა ცხოვრება

გაუმარჯოს მუშას!

მუშავ, იშრომე, იშრომე
ოფლისა წავსკდეს ღვარია;
ეგ შენი შრომა რადგანაც
ყველასთვის გასახარია!...

ვინაც არ შრომობს, შესძახე,
დღე დააყენე შავია
და მიუსიე, საძიძგნათ,
მშიერი ყორან-ყვავია!!.

მორთე, მოკაზმე, ლომ-გმირო,
აწ შენი სახლი, კარია;
არ შეგეშინდეს, ჩამოჰკა
კვლავ მედგრათ ძლევის ზარია!

— ძირს არ დაუშვა წითელი
დროშა რომა გაქვს ხელშია;
რადგან მაგითი იხსენი
შენ თავი განსაცდელშია!!

მუშავ, იშრომე, იშრომე—
აამოძრავე მკლავები
და ვინაცა გმტრობს, იმას კი
დაუდგეს ორთავ თვალები!..

შენ შემოგცქერის, ხომ ხედავ,
კაცი და ქალი ყველანი
და რომ შენ არა, საიდან
მიეცემოდათ შველანი?!

უშენოთ ვერვინ ვერ გაძლებს,
რაიც რო ძნელზე-ძნელია;
შენა ხარ სიმშილისაგან
ყველას შემწე და მხსნელია!!

იცოცხლოს მრავალ-ჟამიერ
ვინც შენი არის ერთგული
და სულ იმაზე ოცნებობს,
რომ იქნე გამარჯვებული!...

ეტი.

მუშათა ცენტრალური კლუბი.

1923 წ. 18 მარტს მუშათა ცენტრალურ კლუბში პარიზის კომუნის 52 წლის თავის აღსანიშნავათ გაიმართა რევოლიუციონური საღამო, რომელსაც დაესწრნენ რამოდენიმე ასი მუშები ადგილობრივ ფაბრიკა-ქარხნებიდან.

მოხსენება „პარიზის კომუნა“-ზედ გააკეთა ამხ. კოგანმა. მოხსენება დიდი ყურადღებით მოისმინეს ამხ. ამხ. მუშებმა, რის შემდეგ შესრულებულ იქნა ინტერნაციონალი, მუშათა ცენტრალურ კლუბის სახალხო საკრავის სტუდიის მიერ, ამხ. სოგომონიანცის ხელმძღვანელობით.

მოხსენების შემდეგ დრამატიულ წრის მიერ წარმოდგენილი იქნა რევოლიუციონური პიესა I მოქ.—„შურის მაძიებელი“. პიესის დასრულებისას შესრულებულ იქნა ორკესტრის მიერ რევოლიუციონური სამგლოვიარო მარში.

რევოლიუციონურ დივერტისმენტში მონაწილეობა მიიღეს 1-ლ საბჭოთა თეატრის მსახიობებმა.

კლუბთან არსებულ მომღერალთა გუნდმა ამხ. სლავინ—ზაგორსკის ხელმძღვანელობით შეასრულა რამდენიმე რევოლიუციონური სიმღერა.

საღამოს ბოლოს ამავე გუნდმა დამსწრე მსმენელთან ერთად შეასრულა ინტერნაციონალი.

დიდად კმაყოფილნი დაიშალნენ ჩვენი მუშები საღამოს 8 საათზე.

ინფორმატორი ი. ელიაშვილი.

უსინათლო ქუჩა.

(აღმასკომის საყურადღებოდ).

ყოფილი ვორონცოვის ქუჩა, ეხლა „კომუნარების ქუჩად“ წოდებული უმთავრესად დასახლებულია იმავე ქუჩაზე მდებარე მრავალ ქარხნების მუშა მოსამსახურეები. წინედ რომ სიბნელე იყო ამ ქუჩაზეც, არც გასაკვირი იყო, აბა ვინ აღირსებდა დაბეჩავებულ მუშას ასეთ ბედნიერებას, მით უფრო გასაკვირია ეს ეხლა, მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დროს და ეს კიდევ მაშინ, როდესაც იქვე მდებარეობს ელექტრონის სადგური ამხ. ლენინის სახელობის. დაწყებული მე-5 რაიონის მილიციის სამმართველოდან ვიდრე მე-2 გამასწორებელ სახლამდე, ქუჩა-ღამღამობით წყვდიადში იმყოფება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ეგერ-აგერ, ერთი მეორეზე ძალიან შორს გაკეთებულ ლამფებს, რომლის ოდნავი ბჟუტვა სრულებით საკმარისი არ არის. თუ აღმასკომმა არ მიიღო ენერგიული ზომები და ორთა-ჭალა არ გაგვინათა, ჩვენ ამ უბნის მცხოვრები-მშრომელნი, დიდად შევიწროებული ვიქნებით, ვინაიდან ამ რაიონში მოსახლეობის ახლად დასახლებისა და ღამეობით უკიდურესი სიბნელის გამო, ადვილად შესაძლებელია ყოველნაირი ბოროტმოქმედებას და უბედურებას ექნეს ადგილი.

აქაური მუშა გ. მ-შვილი.

სახელმწიფო ხაზინა.

ხაზინის მოსამსახურეებს ამ ჟამად მეტად დიდი ძნელი მუშაობა უხდებათ.

დილის 9 საათიდან საღამოს 5-6 საათამდე მუშაობენ მოლარეები. და ფულის მთვლელები კი მუშაობენ საღამოს 7-8 საათამდე.

ამ ჟამად ხაზინაში არ არის დაცული არც ექვსი და არც რვა საათის სამუშაო დღე. დილის 9 საათიდან დაწყებული საღამოს 5-6 საათამდე ხაზინის ქუჩა სავსეა ხალხით, რომელთაც ხაზინაში შემოაქვთ ქართული ბონები და სცვლიან მათ ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე. მიუხედავად ასეთი გაძლიერებული მუშაობისა, მოსამსახურეებს არამც თუ აქვთ რაიმე მომატებანი ხელფასისა, არამედ თვიური ჯამაგირიც არ ეძლევათ თავის დროზე. ჩვენი ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხანაგი გრინბერგი. რომელსაც მივანდეთ ჩვენი ინტერესების დაცვა, ვატყობთ ვეღარ გაამართლებს ჩვენს ნდობას და იმედებს, რადგანაც ის ჩვენზე სრულებით არ ზრუნავს და თავისი პირადი საქმეებს აკეთებს.

ყველა ჩვენ შეკითხვებზე, თუ როდის მივიღებთ ჩვენი ნამუშევარს, ადგკომის მდივანი პასუხსაც არ გვაძლევს და არავითარ ყურადღებას არ გვაქცევს, ან ჩვენზე თავს რაღად შეიწუხებს ეს შეუგნებელი ადგკომის წევრი, როდესაც თვითონ ღებულობს 17 მილ. მ. და სხვების ჭირ-ვარამი მას ფიქრადაც არ მოსდის. აუცილებლად საჭიროა მიექცეს ხაზინის მომუშავეთ ღირსეული ყურადღება მათ მიერ დამსახურებულ შრომის ხელფასის თავის დროზე მიწოდებით. ადგკომის მდივანს კი ვაფრთხილებთ, თუ მან მომავალშიც ვერ გამოიჩინა საქმიანობა და მუყაითობა, ის ჩვენს ნდობას დაჰკარგავს სამუდამოდ და გადაყენებული იქნება თავისი საპატიო თანამდებობიდან.

ი. გაგიევი.

ეკონომიური ცხოვრება

ტფილისის ბირჟის კურსი.

21 მარტს.

ოქროს თუმნიანი — — —	5.475
დოლარები ჩეკები— — —	740
გირვანქა სტ. ჩეკები — —	3.500
ოსმალური ქაღალდის ლირა—	585
საბჭოთა ნიშნები— — —	16 1/4.

ბირჟის მიწოდება.

ჩაქვის ჩაი წონით. ფეხსაცმელები საზღვარ-გარეთის კაცისა და ქალის. გუთანი. სათესავი მანქანა. ფარცხი. სალეწავი მანქანა. სათიბავი იარაღი. ნავთის მოტორები „იუზა“, მანუფაქტურა, რუსეთის. ელექტრონის ლამფები. მარსელის საპონი „მამალი“.

ბირჟის მოთხოვნილება.

ლურსმანი. ქიშმიში. საბზა. ჰერამი. ინგლისური შაბიაბანი. ფქვილი „ნელსონი“ და „დურუმი“. შალის საბნები. აკულინისა და აგდამის ბრინჯი. მანუფაქტურა რუსეთის.

ტფილისის ბაზარზე.

21 მარტი.

ხორბლის ბაზარზე აწეულია უმაღლეს ხარისხის ფქვილი—დანარჩენი უცვლელია. შაქრის ბაზრის მდგომარეობა მტკიცეა.

მუშათა მთლიანი კოოპერატივების ფასები.

21 მარტი.

პური თეთრი—15, შავი—9. ყუბანის ფქვილი—25. ფხვნილი შაქარი—85. მარილი—20 ასანთი წყვილი—15. ჩაქვის ჩაი უმაღლეს ხარისხის—800 ათასი გირვანქა. მარმარილოს საპონი—80. „ტოლლე“-ს საპონი—80. ჰრელი ლობიო—13, წითელი—10.

ვალიუტა ბათომში.

(20 მარტის დეპეშა).

ლირა ოსმ. ქაღ. — — —	545
ოქროს თუმნიანი — — —	4960
დოლარები — — — —	800
გირვანქა სტ.— — — —	3815
საბჭოთა ნიშნები — — —	18 1/2.

თბილისის ბაზარზე

საქონლის ფასები დაახლოებით შემდეგია: ყუბანის ფქვილი 1-ლი ხარისხის—900—1,000. ადგილობრივი ფქვილი—470—480. ყუბანის ხორბალი—390—410. ადგილობრივი ხორბალი—350—360. შაქარი რაფინადი, ჩეხო-სლოვაკიის ფუთი—5,900. ფხვნილი შაქარი რუს.—3,375. აკულის ბრინჯი—2,400 ყველი თუშური—4,500—5,500. ნარმა რუსული—160—180.

ვაჭრობა აღმოსავლეთთან

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატში, მიღებულია ცნობები, რომ რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატისა და სინდიკატების საბჭოს თათბირმა დაადგინა ეთხოვოს სავაჭრო პალატას აღმოსავლეთ ქვეყნების იმპორტისა და ექსპორტის და, აგრედვე სატრანსპორტო კრედიტის საკითხების დამუშავება.

აღძრული იქნება საკითხი ამიერ-კავკასიაში სამრეწველო ბანკის განყოფილების გახსნის შესახებ.

ბამბის ბაზარზე

ბამბის მონოპოლიის გაუქმების გამო ბამბის ბაზარს აჟიოტაჟი ემჩნევა: სპარსული ბამბის ფასმა აიწია ფუთზე 14 მანეთამდე ოქროთი, კავკასიის ბამბის—18 მანეთამდე.

ძ. თბილისის სადგურზე

17 მარტს სახელმწიფო დაწესებულებათა სახელზე შემდეგი საქონლებია: მანუფაქტურა—109 შეკვრა და 529 ფუთი, ხორბალი—3 ვაგონი, მატყლი—233 შეკვრა. კოოპერაატივების სახელზე—ხორბლის ფქვილი—1,007 ფუთი, მარილი—702 ფუთი.

ბათომის ფასები (ლირებათ)

ბათომის ბაზარზე საბითუმო ფასები დაახლოებით შემდეგია: ფქვილი „ნელსონი“—ტომარი—9—9,50, შაქარი რაფინადი ფუთი—32,50—33. ჩაი „სოსიფროსი“, ფუთი—95—97, „ტოლლე“-ს საპონი—11—11,25, სახარინი „სოსიფროსი“ კილო—49—50.

ქრონიკა

მენშევიკების კიდევ ერთი სტამბის აღმოჩენა

— ამა წლის 18 იანვრიდან დაწყებულ კვლევა-ძიების შემდეგ საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ აღმოჩენილ იქნა მენშევიკების მეორე სტამბა მოქ. გიორგი მუჯირიშვილის სახლში სამოვოლწაიას ქუჩაზე ქალაქის განაპირას (ნადიკოვკაში). სტამბა მოთავსებული იყო მუჯირიშვილის სახლზე მიშენებულ ფიცრულში.

საქართველოს ცენტ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმში.

— **ახალი სამოქალაქო გადასახადი.** ამიერ-კავკასიის აღმ. კომ. პრეზიდიუმის და სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით. 1923 წ. ამიერ-კავკ. საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკების მოქალაქეებისათვის არსდება ერთდროული სამოქალაქო გადასახადი. გადასახადს იხდის ორივე სქესის მოქალაქეები 18—60 წლამდე. განთავისუფლებული იქნებიან: 1) მუშები და მოსამსახურეები სატარიფო განაკვეთის მეცხრე ზოლამდე, 2) სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ჯამაგირს ღებულობენ თანახმათ იქ არსებულ ტარიფისა, 3) მილიციის თანამშრომელნი, რომელნიც იარაღით იცავენ წესიერებას, 4) სახელ. უნივერსიტეტის მსმენელები და მოწაფეები, რომლებიც არსად არ მსახურობენ, არ ვაჭრობენ და ეწევიან რაიმე შემოსავლიან სამუშაოს, 5) ინვალიდები შრომის უნარ-დაკარგულნი, 6) ქალები წვრილ შვილებიანი, რომლებიც ეწევიან დამოუკიდებელ ცხოვრებას, 7) უმუშევრები შრომის ბირჟაში ჩაწერილები, 8) გლეხები, რომლებსაც არ ჰყავთ შინაური პირუტყვები და ეწევიან სოფლის მეურნეობას. გადასახადის ნორმა შემდეგია: 1) მოსამსახურეები, რომლებიც ჯამაგირს ღებულობენ უტარიფოთ (კერძო შეთანხმებებით), როგორიც არიან ცნობილნი მსახიობები, ლიტერატორები, მხატვრები და სხ. იხდიან 800,000 მენეთს. 2) მუშები და მოსამსახურეები, რომელნიც ჯამაგირს იღებენ ტარიფის კვალობაზე და ითვლებიან პრ. კავშირის წევრათ იხდიან—100,000 მან. 3) მოხელეები საკუთარი წარმოების მქონენი და წვრილი მრეწველები, რომლებსაც დაქირავებული მუშები ჰყავთ—იხდიან 500,000 მან. 4) სახლის პატრონები, გლეხები, რომლებიც ეწევიან მეურნეობას დამოუკიდებლად—200.000 მან. და სხ. ხსენებული გადასახადისათვის დაწვრილებითი წესდების შემუშავება დაევალა იუსტიციის სახ. კომისარიატს.

ჯანმრთელობის კომისარიატში.

— **ქიმიკურ—ფარმაცევტული ლაბორატორია.** სახალხო ჯამრთელობის საფარმაცევტო განყოფილებამ დაამთავრა მუშაობა საკუთარი ქიმიკურ-ფარმაცევტიულ ლაბორატორიის მოსაწყობათ. ლაბორატორია გადაამუშავებს მასალებს და დაამზადებს ქიმიურ პროდუქტებს, როგორიც ადგილობრივ, ისე შემოტანილ მასალებიდან.

— **ვენერიულ ავათმყოფობის წინააღმდეგ მებრძოლი სექცია.** ჯანმრთელობის კომისარიატთან მოეწყო ვენერიული ავადმყოფობის წინააღმდეგ მებრძოლი სექცია, რომლის მიზანია აწარმოვოს ბრძოლა ყველა ორგანიზაციებში ვენერიულ ავადმყოფობის და პროსტიტუციის წინააღმდეგ. სექციამ თავის შემადგენლობიდან გამოიყო მომქმედი ბიურო.

ქალაქის აღმასკომში

— **სამოქალაქო აქტების განყოფილება.** თებერვლის განმავლობაში აღრიცხული იქნა ტფილისში 556 დაბადება, 384 სიკვდილი. 559 დაქორწინება, 43 განქორწინება და 6 გვარის გამოცვლის შემთხვევა.

— **მუშათა სახლების შეკეთება.** 1-ლ აპრილიდან დაიწყება მუშათა სახლების კაპიტალური შეკეთება, რისთვისაც უკვე შედგენილია საჭირო ხარჯთ აღრიცხვა.

განათლების კომისარიატში.

— **პროფ. ბენაშვილის განთავისუფლება თანამდებობიდან:** განათლების სახალხო კომისარის ბრძანების (№ 24) თანახმად საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიის დირექტორი პროფ. ანდრია ბენაშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან ა. წ. 20 მარტიდან. მის ადგილზე დაინიშნა პროფ. ალექსანდრე დიდებულიძე, რომელიც აღნიშნულ თანამდებობის ასრულებას უნდა შეუდგეს ა. წ. 20 მარტიდან.

— **სტუდენტთა საყურადღებოთ.** განათლების კომისარიატი, ამით აცხადებს, რომ იმ სტუდენტებს რომლებსაც თხოვნებზე არ ჰქონდათ აღნიშნული ფაკულტეტი გამწმენდ კომისიაში გატარებულნი არ იქნებიან და სრულიად გამორიცხულნი იქნებიან უნივერსიტეტიდან, თუ 3 დღის განმავლობაში არ წარმოადგენენ სათანადო მოწმობებს.

— **სომხური გამომცემლობა.** სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობასთან არსებულ ლიტერატურულ-მხატვრულ სექციასთან მოეწყო სომხური გამომცემლობის სარედაქციო კოლეგია აკონიანის, შავერდოვას და ვართაპეტოვის შემადგენლობით. კოლეგია უკვე შეუდგა საბავშო სომხურ ჟურნალის „კარმირ-ცილერ“-ის გამოცემას.

— **მცირე წლოვანთა ჟურნალი „ნაკადული“** სოციალურ აღზრდის მთავარ მართველობის სამხატვრო-სალიტერატურო სექციის მიერ გამოვიდა მცირე-წლოვანთათვის ჟურნალი „ნაკადულ“-ის 1-ლი ნომერი.

ა. კ. შრომის სახ. კომისარიატში.

— **1922 წ. შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის შესახებ.** ა. კ. შრ. კომ. რწ. სამმართველომ სრ. საქ. საბ. ცენტ. აღმ. კომიტეტს წარუდგინა პროექტი დასამტკიცებლად, რომლის ძალითაც 1922 წლ. შრომისადა ტვირთზიდვის ხარკის გადაუხდელ პირთ ენიჭება ამნისტია შემდეგი სახით: 1) განთავისუფლებულ იქნას სოფლის მოსახლეობა გასული წლის შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის ნატურალურ სახით მოხდისაგანა და აგრეთვე განთავისუფლებულ იქნეს აღნიშნულ წლის შეუსრულებელ მუშა-დღეების ნაცვლად ფულადი გადასახადისაგან. 2) მოისპოს შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის შეუსრულებლობის გამო აღძრული საქმეები, რომლებიც არიან წარმოებაში სასამართლოსა და ადმინისტრატიულ დაწესებულებებში. 3) გამოტანილი შეუსრულებელი განაჩენი არ იქნეს სისრულეში მოყვანილი, 4) თავისუფლდებიან, ვისაც ხარკის შეუსრულებლობის გამო მისჯილი ქონდა თავისუფლების აღკვეცა ან იძულებითი სამუშაო.

— **პროექტი.** ამავე შრომის სამმართველომ სახ. კომისართა საბჭოს წარუდგინა პროექტი დასამტკიცებლად 1923 წ. შრომისა და შარაგზის ტვირთ-ზიდვის ხარკის გატარების წესის შესახებ. პროექტის ძალით მიმდინარე წლის 1-ლ იანვრიდან რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში შრომისა და შარა-გზით ტვირთზიდვის ხარკი აკრეფილი იქნება ფულათ. აღნიშნული ფულადით შეცვლილი ხარკი შეეწერება ყველა შრომის უნარიან მამაკაცს 18—50 წლამდე და მუშა-საქონლის მპატ-

რონეთ. პროექტი გამოქვეყნდება ახლო ხანში და დაწვრილებით იქნება აღნიშნული ხარკის გატარების წესი.

ტფილისის დამზღვევ კასაში.

— **მუშების სააგარაკოდ გაგზავნა.** დამზღვევ კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა თხოვოს საქ. პროფკავშირთა საბჭოს, რათა აჭარის პროფკავშირთა საბჭოს აგარაკ წაღვერში დაეთმოს 50—60 ადგილი, და ბორჯომში 20 ადგილი.

— **სანატორიის საკითხი.** იმავე კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა გაუწიოს ფართე მატერიალური დახმარება აბასთუმანში აგარაკ „ამაზინდოში“ სანატორიის მოწყობის საქმეს.

მილიციაში.

— **ქურდობა.** 12 მარტს, ღამით, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „ევროპიულ ნომრებში“ მცხოვრებ პავლოვსკის, ბოროტმომქმედებმა მოპარეს 2,500 თათრული ქაღალდის ლირა და პირადობის მოწმობა. ძიება სწარმოებს.

— **შეპყრობა.** პირველ სამილიციო უბანში ანასტასიევის ქუჩაზე № 19 სახლის გაქურდვის დროს მოდარაჯე მილიციონერის მიერ შეპყრობილი იქნა მოქ. ალექსანდრე მესესოვი.

კრებები და მოხსენებები

— **ლექციები ტეხნიკურ თანამშრომელთათვის.** საერთო საგანმანათლებლო ლექციები ტეხნიკურ თანამშრომელებისათვის ქართულ ენაზე დაიწყება ოთხშაბათს 28 მარტს, საღამოს ხუთ საათზე, რუსულ ენაზე—პარასკევს 30 მარტს საღამოს 5 საათზე. დელეგატებს ევალებათ გამოგზავნონ „განათლების მუშაკთა სახლში“ ყველა ტეხნიკური თანამშრომლები.

ხელოვნება

— **სახალხო კონცერტი.** ალ. მაისურაძის სახალხო მომღერალთა ქალვაჟთა გუნდი—გამართავს პარასკევს 23-ს მარტს დიდ სახალხო კონცერტს 4 განყ. კონცერტის დაწყებამდე პროფ.-კომპ. დიმ. არაყიშვილი წაიკითხავს მოხსენებას „ხალხურ მუსიკის“,—შესახებ. გუნდი შეასრულებს სხვა და სხვა ხალხურ კილოებს როგორც მაგალითად პოპური, ჰეი გასწი, ჩონგურს, დაიგვიანეს—ოპ. არია. მუს. ნ. სულხანიშვილისა მოფანდურის, ურმულს, მთაო გადმიშვის და სხვა მრავალ სიმღერებს.

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს, რუსთაველის თეატრში, გაიმართება ბენეფისი ახალგაზრდა მსახიობების: თამარ ჭავჭავაძის, აკაკი ვასაძის, უშანგი ჩხეიძის, შალვა ღამბაშიძის და მ. ლორთქიფანის. წარმოდგენილი იქნება „ცხვრის წყარო“ კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით.

ქრონიკა

ბორჯომი.

პარიზის კომუნის 52 წლის თავი 12 მარტს სათანადოდ აღინიშნა ქ. ბორჯომში.

ქალაქის პროფკავშირის, კ. პ. და ა. კ. კ. წევრები მოქალაქებთან ერთად, ენგელსის და შრომის ძეგლთან შეკრებილნი, მიეშურებიან სადგურისაკენ, საიდანაც უფასო მატარებლით ჩადიან სადგურ ბორჯომში (ჩარხისწყალი).

ადგ. მუშათა თეატრში მრავალრიცხოვან მიტინგს (დარბაზი გაჭედილი იყო) ხსნის ამხ. პისკუნოვი, სრულდება ინტერნაციონალი.

ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება პარიზის კომუნის შესახებ გააკეთა ქორა ფრანგიშვილმა) რასაც მუშები მხურვალე ტაშით შეხვდენ.

მოხსენების დასრულებისას, დადგენილ იქნა: საქ. კ. პ. მეორე ყრილობას გაეგზავნოს შემდეგი მისასალმებელი დეპეშა: „ბორჯომის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი მხურვალეთ მიესალმება მუშათა კლასის ინტერესების დამცველს—კომპარტიას და უსურვებს მის მეორე ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას მუშათა კლასის საკეთილდღეოთ“.

შემდეგ ილაპარაკა ამხ. გიორგი ლომსაძემ.

პარიზის დაღუპულ კომუნარების ხსოვრის აღსანიშნავათ და საპატივცემლოთ ყველანი ფეხზე დგებიან და მღერიან სამგლოვიარო ჰიმნს.

პარიზის კომუნის შესახებ მოხსენების გამო გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

მიტინგი იხურება ინტერნაციონალის შესრულებით; ყველანი იშლებიან რევოლიუციონურ სიმღერებით.

საღამოს ზემოაღნიშნულ თეატრში და აგრეთვე ქალაქის „ოქტ. რევოლ. კლუბში“ გაიმართა წარმოდგენა რურის ოლქის გაფიცულ მუშების და ბურჟუაზიულ ქვეყნებში დატუსაღებულ კომუნისტების და მუშების დასახმარებლათ.

საერთოდ ამ კამპანიის საწარმოებლათ მიმდინარეობს სათანადო მუშაობა, აგრეთვე—თემებშიც.

17 მარტს გაიმართა ადგ. სახელოსნო სასწ. ყველა და მთ. შრ. სკ. უფროსი კლ. მოწაფეთა კრება, სადაც გაკეთდა—ორი მოხსენება თემაზე: „რ. კ. პ. ისტორია“ და „პარიზის კომუნა“.

შესაფერათ იქნა ჩატარებული 12 მარტს ცარიზმის დამხობის 6 წლის თავი და 14—რ. კ. პ. 25 წლის საიუბილეო დღესასწაული.

ჟან.—ფანი.

8 მარტი ქ. ხონში:

8 მარტი, ქალთა საერთაშორისო რევოლიუციონური დღესასწაული, ქ. ხონში კარგად იქნა ჩატარებული.

ამ დღის ჩასატარებლად არჩეულ იქნა წინასწარ კომისია, რომელმაც 8 მარტს ადგილობრივ თეატრის დარბაზში გამართა მიტინგ-კონცერტი სრულ ორ საათზე, ქალთა კომიტეტის სახელით მიტინგ-კონცერტს ხსნის ამხ. სონია ფარცხალაძე, რომელიც მოკლეთ ესალმება მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღესასწაულს.

ამის შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოდიან: ახალგაზრდა წითელ ქალთა სახელით ამხ. თ. ბახტაძე და ახალგაზრდათა კომკავშირის ხონის რაიონულ კომიტეტის სახელით ამხ. გ. კაკაბაძე, რომლებიც აღნიშნავენ 8 მარტის მნიშვნელობას და მუშა ქალთა რევოლიუციონურ როლს რევოლიუციონურ ბრძოლის ისტორიაში და სხვა.

მისასალმებელ სიტყვების შემდეგ ამხ. ს. ბახტაძე აკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ქალი წარსულში და მომავალში“, რომელმაც დააინტერესა მშრომელი ქალები.

ამის შემდეგ წაკითხულ იქნა ლექსები და ბოლოს კი გაიმართა კონცერტი. კონცერტის დამთავრების შემდეგ ნასიამოვნები ხალხი დაიშალა.

გან-კონი.

8 მარტი ქ. ზუგდიდში.

მიუხედავათ წვიმისა, ქარისა და სიცივისა, მუშა-ქალთა დღესასწაული ზუგდიდში მწყობრად და ერთსულოვნად ჩატარდა. დელეგატი ქალები დროშებით მიემართებიან პროფკავშირების ბიუროსაკენ, გზაზედ მათ უერთდებათ ადგილობრივ ქალთა ჯგუფი.

დღის 12 საათზე გაიხსნა საზეიმო სხდომა ქალთა სამაზრო კონფერენციისა. დარბაზი გატენილია ქალებით, მოხუცებით, მოწაფეებით, ახალგაზრდებით, დედებით. სოციალური მდგომარეობის მხრივ შემადგენლობა მუშურია. დამსწრეთა შორის არიან მამაკაცებიც.

მისასალმებელ სიტყვებს ამბობენ ს. კ. პ. ცეკას ქ. განყოფილების სახელით ამხ. ხარებავა, ადგილობრივ ქალთა განყოფილების სახელით ამხ. გახარია, ს. კ. პ. ზუგდიდის მაზრკომის სახელით ამხ. ცხაკაია, ცაკის და სამაზრო აღმასკომის სახელით ამხ. რაფავა, პროფორგანიზაციის სახელით ამხ. რაგვილავა, ახალ. კომ. კავშ. ცეკას და მაზრკომის სახელით ამხ. კობახიძე და მემარცხენე ფედერალისტების სახელით ამხ. შენგელაია. ორატორები ხატავენ დღევანდელ მდგომარეობას, ხაზს უსვამენ ქალთა მოძრაობის კავშირს პროლეტ. რევოლიუციასთან. მისასალმებელ სიტყვების შემდეგ ერთხმად მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომელშიაც სხვათა შორის, ნათქვამია: „საერთაშორისო ქალთა დღესასწაულის დღეს ჩვენ ფიცსა ვდებთ, რომ მთელი ჩვენი ძალა და ენერგია მოვახმაროთ წარმოების ამაღლებას და გამაგრებას. ძირს იმპერიალისტური ოკუპანტები, გაუმარჯოს მებრძოლ მშრომელ ქალებს, დარაზმულთ კომინტერნის დროშის ქვეშ“.

ამის შემდეგ გაიხსნა სამაზრო კონფერენცია. საპატიო წევრად არჩეული არიან კლარა ცეტკინა და კოლონტაი. პრეზიდიუმში არიან არჩეულნი ამხ. ამხ. ხარებავა, საჯაია, თუთბერია, შენგელია და ბუკია. დღის წესრიგში დგანან კითხვები: 1) საბჭოთა რესპუბლიკების შინაური და საგარეო საქმეთა მდგომარეობა, 2) ქალთა მოძრაობა და 8 მარტი, 3) მიწის საკითხი. პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კობახიძე.

უპარტიო ქალთა კონფერენცია სავსებით ეთანხმება მომხსენებელს.

ქალთა მოძრაობა და 8 მარტის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გახარია, სადაც აღნიშნული იქნა ქალის მდგომარეობა კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპებში, დაწვრილებით კაპიტალიზმის ხანაში და სხვ.

ერთხმად მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია. მეტად საინტერესო არის მოხსენება ამხ. თამარა საჯაიასი აგრარულ საკითხის შესახებ, და მის გამო გამოტანილი რეზოლიუცია, რომელიც აქვე მოგვყავს:

„მოვისმინეთ რა მოხსენება ამხან. საჯაიასი მიწის საკითხის შესახებ, ვითვალისწინებთ რა, რომ საბჭოთა მთავრობა ერთად-ერთი დამცველი მუშებისა და გლეხების ინტესების—სიწორით სჭრის მიწის საკითხს მშრომელთა საკეთილდღეოთ, ვეცდებით ხელი შეუწყოთ მთავრობის ღონისძიებათა ადგილობრივ სისწორით გატარებას. გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ საბჭოთა მთავრობას და მათ წინამძღოლ კომპარტიას“.

8 მარტის აღსანიშნავათ ზუგდიდის მაზრაში გაიხსნა საბავშვო სახლი, სოფ. ჭკადუაში, სამეგრელოს ყოფილ მთავრის სასახლეში კატო ოკუჯავას სახელზე. საღამოს გაიმართა უფასო წარმოდგენა, რომელსაც აუარებელი საზოგადოება დაესწრო. ასე მწყობრად და ხალისით ჩატარდა 8 მარტი ქ. ზუგდიდში.

პატული.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარულად.

საქართველოს ყველა ტერიტორიაზე მყოფ ა/კ. ფ. ს. ს. რ. შეერთებულ სახალხო კომისარიატებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს და ს. ს. ს. რ. სახალხო კომისარიატებსა და სახელმწიფო დაწესებულებათ.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ხმა წლის 18 თებერვლის დადგენილებისა თანახმად სახელმწიფო დაწესებულებებში მარტის თვიდან შტატები საშუალოდ შემცირებულ უნდა იქმნას 10 პროცენტით. შტატების სწორ აღნუსხვისა და თითოეულ სახალხო კომისარიატისათვის სამუშაო ხელფასის საჭირო ფონდის თავის დროზე გამონაგარიშებისათვის, ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის საქ. რწმუნებულის სამმართველო წინადადებას გაძლევთ, ერთი კვირის განმავლობაში და არა უგვიანეს ამა წლის 28 მარტისა, წარმოადგინოთ ცნობები შტატების ფაქტიურად მოხდენილ შემცირების შესახებ და აგრეთვე სხვა ცნობებიც ქვემო აღნიშნულ ფორმების მიხედვით.

ფორმა 1.

ცნობები ტეხნიკურ თანამშრომელთა შტატის შემცირების შესახებ.

№№ რიგზე	თანამდებობათა სახელწოდება	თანამშრომელთა რიცხვი			ხარისხი	შენიშვნა. ამ სვეტში შეიძლება აღნიშნულ იქნეს ცნობები ზედმეტ მუშაობის მწარმოებელ თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ.
		შემცირებამდე	შემცირებულთა	შემცირ. შემდეგ დატოვ.		

ფორმა 2.

ცნობები პასუხისმგებელ მუშაკთა შესახებ.

№№ რიგზე	თანამდებობათა სახელწოდება	პასუხისმგებელ მუშაკთა რიცხვი			ხარისხი	რამდენ ხანს უხდება დაწესებულებაში მუშაობა
		შემცირებამდე	შემცირებულთა	შემცირ. შემდეგ დატოვ.		

ფორმა 3.

ცნობები სპეცების შესახებ.

(ეს ცნობები უნდა შეიცავდეს იმ თანამშრომლებს, რომლებიც, თავიანთი კლასიფიკაციის მიხედვით, ღებულობენ ჯამაგირს არა სატარიფო ქსელით, არამედ შეთანხმებით).

№№ რიგზე	თანამდებობათა სახელწოდება	სპეცების რიცხვი			შრომის ხელფასის [illegible]	შენიშვნა.
		შემცირებამდე	შემცირებულთა	შემცირ. შემდეგ დატოვ.		

ფორმა 4.

ცნობები ზედმეტ მუშაობის შესახებ.

(ზედმეტ მუშაობის შესახებ, თუ-კი ცნობები აღნიშნული იქნება ფორმა 1-ში, მაშინ ასეთები შეიძლება წარმოდგენილი არ იქნეს ფორმა მე-4-ით).

№№ რიგზე	თანამდებობათა სახელწოდება	ხარისხი	ზედმეტ მუშაობის საათების რაოდენობა	
			ერთი დღის განმავლობაში	ერთ თვეში

ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მაგიერ საქართველოში—ა. მიქაძე.

საერთო-საორგან. გან. გამგე—ლ. ქურდოვანიძე.

დადგენილება

ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაცია ქმნ. ლ სახლების შესახებ.

ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტების მიერ წარმოდგენილ მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაცია მოსახდენ სახლების სიიდან—მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაცია ქმნილად გამოცხადებულია შემდეგ პირთა სახლები:

ქ. ფოთი.

1. და 2—ეპამინონდ გრამ. ტიკოპულოს 3. ტოპოლიდის (სახელი არ არის აღნიშნული). 4. მიხეილ, გაბრიელ და მოშე ჩიკვაშვილების. 5. მიხეილ როსტომის ძე წივწივაძის. 6. ფილხაზ ციციშვილის. 7. და 8—გუსეინოვ-მუსა-ირზა-ოღლების. 9. ლევარდ ხოლონიკიდის. 10. ალექსანდრე მილერის. 11. თოძრიაძის (სახელი არ არის აღნიშნული). 12. ტაშნიკოვის. 13. სერგო აპრესოვის. 14. გიორგი პონუმარევის 15. სამუელ თოფჩიშვილის. 16. სალონიკა პანიოდის. 17. ავგერინო აგიზელაის. 13. კარვანდი და ავგერინოსი (სახელები არ არის აღნიშნული). 19. კედალიდი კოსტადის. 20. იაპოლიტო ხრისტოსი. 21. თედორე კარატესოვის 22. მარია პოლიდის. 23. ივანე პარადოვის. 24. კაჭარავა ფარნას მემკვიდრეების. 25. კომპანია „ნადეჟდა“-ს. 26. რუსული სანაოსნო საზოგადოების. 27. რუსეთის სატრანსპორტო საზოგადოების. 28. ანდრია ქავარაძის. 29 ალექსანდრე ხარბედიასი. 30. ბრანისლავა კუროვსკის ან მისი მემკვიდრის. 31. ევდოკია გაბუნიასი. 32. ბაგრატ ხარიბავასი. 33. ესტატე ხარაიასი. 34. თეოფილე ოდიშარიას და ალექსანდრე როყვას. 35. ლევან და დიომიდე ჯოჯუების. 36. ნადაპეტ ავრიევ კაპრიელოვის. 37. სანდროპულოს (სახელი არ არის აღნიშნული) 28. სიმონ უგულავას.

ოზურგეთის მაზრაში—ქ. ოზურგეთი.

1. ოფონ ჩიკვაშურის. 2. ნესტორ აბაშიძის. 4. სამუელ სიამაშვილის. 4. ილარიონ ლომთათიძის მემკვიდრეების. 5. საურთიერთო ნდობის საზოგადოების. 6 ვიქტორ, დავით და გრიგოლ შარაშიძეების. 7. კოწია ტუღუშის. 8 ივანე გოთუას და სერგო დათუნაშვილის. 9. დიმიტრი ჩხატარაშვილის. 10. ნოე ჩიგოგიძის. 11. მართა ქერქაძის. 12. ლევარსი ტუტუჩავას და ყართან ბერიძის. 13. ნიკო თაყაიშვილის მემკვიდრეების. 14. მასიკო კალანდაძის. 15. იოსებ ქარცივაძის. 16. ესე ორაგველიძის. 17. სერგო დათუნაშვილის. 18. თეოფილე ოთხმეზურის. 19. გიორგი სიამაშვილის.

სენაკის მაზრაში—სენაკი.

1. ანდრო პეტრეს ძე ჩიქოვავას. 2. ნიკო ფერამის ძე დგებუაძე. 3. არსენა ანდრიას ძე ცხაკაიას 4. კოსტა ბეჟანის ძე ყურაშვილის. 5. ბარდღა ივანეს ძე მხეიძის. 6. ვლადიმერ სოლომონის ძე ადუნაიას. 7. ალექსი დესმას ძე ხუბუტიას. 8. ალმასხან ზურაბის ძე კუჭავას 9. ალექსანდრე ბესარიონის ძე მხეიძე. 10. დავით დიმიტრის ძე ქვანიას. 11. ძუკუ ზალიკას ძე ფაღავას. 12. ერმილე ლომიკას ძე შანგუასი ს. ბანძაში.

ზუგდიდის მაზრაში—ქ. ზუგდიდში.

1 და 2 ყოფილ თავად მინგრელსკების. 3. მექი კედიას, 4. ილია ლუკავას. 5. იაკობ კილასონიას ობლების და ევგენი ადანაიას. 6. ვალოდია ალშიბაიას. 7. კონსტანტინე ვეკუას.

ქუთაისის მაზრაში—ქ. ქუთაისში.

1. ისხაკა იაკობიშვილის, ტროცკის ქ., 14. 2. შიმშო იაკობიშვილის, ფ. მახარაძის ქ. 3. მიხეილ მოწონაშვილის, შაუმიანის ქ. 4. მარდახ ფიჩხაძის, ჯაფარიძის ქ. 5. ბენიამინ ფიჩხაძის, შაუმიანის ქ. 6. იასონ და სოლომონ ელიგულაშვილების, ტროც. ქ., 15. 7. ბენია რიჟინაშვილის, შაუმიანის ქ. 8. არონ რიჟინაშვილის, მესამე ინტერნ. ქ. 9. აბრამ და შალომ რიჟინაშვილების, ლენინის ქ. 10. რაფიელ კაკიტელაშვილის, ლენინის ქ. 11. არონ ციციაშვილის, ჯაფარიძის ქ., 24. 12. ხაიბ იაკობიშვილის. 13. ისააკ და კაინ თავდიდიშვილების, ჯაფარიძის ქ. 14. დანიელ ფიჩხაძის, ჯაფარიძის ქ. 15. გაბრიელ ფიჩხაძის, მესამე ინტერნაც. ქ. 16. ყობო და ილია ფიჩხაძეების, გელათის ქ. 17 ბესარიონ მოშიაშვილის, მესამე ინტერნაც. ქ. 18. მიხეილ ციციაშვილის, რუსთაველის ქ. 19. მელიტონ აბდალაძის, აკაკი წერეთლის ქ. 20. აბრამ ბუზიაშვილის 21. აბეშა ბუზიაშვილის. 22. ყოფილი სასტუმრო „ცენტრალი“, საშა წულუკიძის ქ. 23. ყოფილი სასტუმრო „პალას-ოტელი“, ლიბკნეხტის ქ. 24. სასტუმრო „ფრანცია“, გოკიელოვის შენობა, ლიუკსემბურ. ქ. 25. სასტუმრო „იმპერიალის“, შენობა ფიჩხაძის, მესამე ინტერნაციონძლის ქუჩა. 26. სასტუმრო „გრანდ-ოტელი“, შენობა ჩხიკვიშვილის და მებუკის, პუშკინის ქ., 1. 27. სასტუმრო „ორიანტი“, შენობა კაკიტელაშვილის, ლიბკნეხტის ქ., 2. 28. რაფიელ ელიგულაშვილის, შაუმიანის ქ. 29. იაკობ ციციაშვილის. 30. მიხეილ მოშიაშვილის, ჯაფარიძის ქ. 31. მოსე ელიგულაშვილის, მესამე ინტერნაც. ქ 32. იოსებ ციციაშვილის, შოთა რუსთაველის ქ 33. არონ და ისაკ ელიგულაშვილების, დიდი სინაგოგის ახლო. 34. სასტუმრო „ლონდონში“, შენობა ელიგულაშვილის და გველესიანის, ლიბკნეხტის ქ. 35. მიხეილ, გაბრიელ და მოშა ჩიკვაშვილების, ჯაფარიძის ქ. 36. ყოფილი თალმუდ თორის შენობა, გელათის ქ. 37. ვლადიმერ ზვიადაძის, ივანოვის და მარდალეიშვილის ქ. 38. დავით სიმონის ძე კლდიაშვილის, საშა წულუკიძის ქ. 39. ანტონ წულუკიძის ასულის სახლი, ზდანოვიჩის ქ. 40. დიმიტრი ადამიას, პუშკინის ქ. 41 ნიკო გაბელაშვილის, ლენინის ქ. 42. ფილიპე გორგიძის. ა. წერეთლის ქ. 43. სიმონ ლორთქიფანიძის, ზდანოვიჩის ქ. 44. ძმ. რუხაძეების, ზდანოვიჩის ქ. 45. სოფიო მიქელაძისეული სახლი, ზდანოვიჩის ქ. 46. საკუთარი სახლი ყოფილი უფასო სკოლა, ინჟენერის ქ. 47. საკუთარი საბჭოს შენობა, გაბ. ვორა. 48. ყოფილი სემინარიის შენობა, არქიელის მთა. 49. საკუთარი საბჭოს სახლი, გოგებაშვილის ქ. 50. ყოფილი ეპარქიული სასწავლებლის შენობა, ა. წერეთლის ქ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

კომუნალურ განყოფილების გამგე ნანეიშვილი.

(შემდეგი იქნება).

განცხადებები

გულდათუთქული და გაუბედურებული მეუღლე ტერეზი, შვილი ქეთო, სიძე აკაკი ხინთიბიძე, ძმა ილია, ქვისლი ბართლომე კილაძე (ცოლით იულიათი, და ცოლის ძმა სიმონ გეგეჭკორი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

მიხეილ ბესარიონის ძე

ახალაძე

რომლის უკანასკნელად გამოთხოვების დღე დანიშნულია ხუთშაბათს, 22 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიიდან ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში.

383—2—1

---

19 მარტს საღამოს 8 საათზე ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

იაკობ სერგეის ძე

მედვედევი

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს ცოლი ანასტასია ვასილის ასული, შვილები და შვილის შვილები. პანაშვიდი ოთხშაბათს საღამოს 7 საათზე, გამოსვენება 22 მარტს 5 საათზე საღამოს საკუთარ ბინიდან (ოლღას ქუჩა № 40) იოანე ღვთის მეტყველის ეკლესიაში. დაკრძალვა იქვე.

386—1—1

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები მამა იოანე ლავრენტის ძე, დედა ლიდა ტატოს ასული ცქიტიშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. ახალციხეში გარდაიცვალა მათი საყვარელი შვილი პერმის უნივერსიტეტის სტუდენტი-მედიკი

შალვა ივანეს ძე

ცქიტიშვილი

რომლის დროებითი დასაფლავება მოხდება ამა წლის 22 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე, ქ. ახალციხეში.

394—1—1

სახელმწიფო **ოპერა**

კრ. 264—1—1

დღეს, 21 მარტს,

გედის — ტბა

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

რუსთაველის **თეატრი**

კრ. 270—1—1

დღეს, 22 მარტს, ახალგაზრდა მსახიობთა

ბენეფისი

„ცხვრის წყარო“

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ამიერ-კავკასიის ს. ს. რესპუბლიკის რკინისგზების სამმართველო

აცხადებს, რომ 26 მარტს ხსენებულ სამმართველოს შენობაში (ვაგზლის ქუჩა № 1) დღის 12 საათზე დანიშნულია **წერილობითი შეჯიბრება** 1923 წლის პირველი აპრილიდან იჯარით გასაცემად:

1-ლი კლასის ბუფეტების შემდეგ სადგურებზე:

ბაქო, აჯიკაბული, ქიურდამირი, ევლახი, განჯა, ალსტაფა, შახტახტი, ნახიჩევანი.

მესამე კლასის ბუფეტების შემდეგ სადგურებზე:

ბაქო, ბაქო-საბუნჩი, აჯიკაბული, ქიურდამირი, ლიაკი, მიუსუსლი, დალმამეტლი, უჯარი, ევლახი, განჯა, დალიარი, საგირი, ტაუზი, ალსტაფა, სუგმაიდი, დივიჩი, კიზილ-ბურუნი, კუსარ-ჩაი, ალაგეზი, იაშმა, ულუხანლუ, შახტახტი, ნახიჩევანი, შაგალი, ამამლი, ეჩმიაძინი (საჭიროა შეკეთება).

მეოთხე კლასის ბუფეტის: ბაქოს სადგურში.

სავაჭრო დუქნების შემდეგ სადგურებში:

ბაქო, ბაქო-საბუნჩი, სანგაჩალა, აჯიკაბული №№ 1 და 2, ქიურდამირი, ლიაკი, დალმამეტლი, უჯარი, ევლახი №№ 2 და 3, განჯა №№ 1, 2, 3, 4, 5 და 6, დალიარ-საგირი, ტაუზი, ალსტაფა, კუსარ-ჩაი, კარა-ბურუნი, კალაგერანი, ახტალა, სარდარ-აბადი, ამამლი, შაგალი, შახტახტი, ნახიჩევანი.

საპირფარეშოების შემდეგ სადგურებზე:

ბაქო, ბაქო-საბუნჩი, აჯიკაბული, ევლახი, განჯა, ტაუზი, სანაინი, ერივანი და ნახიჩევანი.

ფარდულების შემდეგ სადგურებზე: ქიურდამირი და განჯა.

ხილით სავაჭროების შემდეგ სადგურებზე: განჯა.

მსუბუქი ტვირთის შესანახი კამერის: ბაქოში.

ის პირნი, რომელთაც სურთ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება, მოვალენი არიან ჩაუშვან თავიანთი განცხადებები დახურულ კონვერტში საბჭოს კარებთან ამისათვის დადგმულ სპეციალურ ყუთში ან თავის დროზე გამოგზავნონ ასეთები ფოსტით. კონვერტებზე, რომელიც გადმოცემული იქნება პირადად ან გამოიგზავნება ფოსტით გაკეთებული უნდა იქნას შემდეგი წარწერა: „ბუფეტების, საპირფარეშოების და ფარდულების იჯარაზე შეჯიბრებისათვის, განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს თუ რა სურთ აიღონ იჯარით ან რა აქვთ განზრახული საიჯარო ქირა ოქროს მანეთებში.

განცხადებასთან დართული უნდა იქნას: 1) კვიტანცია განზრახული საიჯარო ქირის არა ნაკლებ 10 პროც. გზს შეტანის შესახებ. იმ პირებმა, რომელთაც სურთ რამდენიმე წარმოების აღება, თითოეულის შესახებ უნდა შემოიტანონ ცალკე განცხადება და 10 პროც. გზ თითოეული ამ წარმოების შესახებ განზრახული საიჯარო ქირისა. 2) შეჯიბრებაში მონაწილეთა განცხადებებზე გადახდილ უნდა იქნეს საღერბო გადასახადი. იჯარით გაცემის დროს რკინის გზების სამმართველო იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებული ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებებითაც, რომლებსაც გზების მეურნეობა მოითხოვს. 3) ბუფეტების, საპირფარეშოების და სავაჭრო ადგილების ახლანდელი მოიჯარადრეები, რომლებსაც ამა წლის პირველი მარტისათვის არ გადაუხდიათ სრულად საიჯარო გადასახადი, შეჯიბრებაზე დაშვებული არ იქნებიან. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ-დღე, გარდა უქმე დღეებისა, 10-დან დილის 11 საათამდე რკინის გზების სამმართველოში (თბილისი, ვაგზლის ქუჩა № 1, ოთახი № 64).

კრ. 269 3—1.

რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო

იწვევს ქვემორე ამისა ჩამოთვლილ გარდაცვალებულ მოქალაქეთა ქონების მემკვიდრეებს, თავის უფლების განსაცხადებლად ამა რიცხვიდან ორი კვირის განმავლობაში.

მენკინი, შერშნევა, ნებოსნოვა, აფანასიევი, არუთიუნოვი, გლუხარევა, ვარდზელოვი, გოლოვაჩევსკაია, მაკულიანი, ნემიროვი, სულაძე, ვალიევი, პორუჩკო, ზახაროვა, გონია, ჩერებნიჩენკო, გოკინ მირიანი, პოგურევა, ჩურკოვა, ვარენოვი, ბოკიროვი, ხარჩენკო, ლოგაევი, ზელნიცკი, შტორკი, პალიხოვი, კარაპეტიანცი, სალიმ-მაშადი, სიაშვილი, ჰიაურელი, კუნკი, პაველნევი, ჩოჩიევა, გოლოვანი, იაშვილი, ზელნიკი, ლევკორდი, კობელიუკი, პოვალიაევი, გილინაშვილი, არბოსენევი, რუსანოვი, მალკო, იობაშვილი, სოხაძე, ველიკანოვა, ეგერშონი, კიზირია, ლეკაშევა, რაზმაძე, მალხაზიშვილი, ტერუნოვა, ანიევა, მიკელოვა, გამყრელიძე, ტრუნა, ლიდია ტუმანსკაია, მღებრიშვილი, ტრუნა ზანდუკელი, სერგეევი, შალიგოვა, გრუშტერი, კურშაული, იტრიევი, რაჭიშვილი, ბარსეგოვი, გასპარიანცი, ჩინიანცი, ლიხაჩევი, პრაზენოვი, გამბაროვი, ბაგდასაროვი, ტესლენკო, აკოპოვი, ილიანი, კორგანოვი, კობახიძე, იურჩენკო, ბახტაძე, ოგანოვი.

თუ ამის გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში ხსენებულ გარდაცვალებულთა სრულუფლებიანი მემკვიდრენი არ წარმოადგენენ თავის უფლებებს მათ შემდეგ დარჩენილ ქონებაზე, უკანასკნელი გაყიდულ იქნება აუქციონზე საავადმყოფოს სასარგებლოდ, უვარგისი კი—მოსპობილ იქნება.

კრ. 266 2—2

დოკტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყ. ფილტვების—ჭლექი და გულის—სპეციალური წამლობა მალარიისა შეზხაპუნება 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეთი.

იღებს 9—12 საათ.—დღის და 5—7 ს. საღ.

ბებუთოვის ქუჩა № 23. (264—25—13)

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დ'არსონვალი**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (233—25—16)

დავკარგე შრომის ბირჟის განათლების სექციიდან მოცემული წიგნაკი შალვა ალექსანდრეს ძის თვალაკაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 387—1—1

დავკარგე მახმუდა რუსტამ ოღლის სახელზე გაცემული პასპორტი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 385—1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სტუდენტ. თამარ ივანეს ასული ზვიადაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 399—1—1

დავკარგე ქ. ჩოხატაურის პირველ დაწყების უმაღლესი ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების მოწმობა მიხეილ ანდრიას ძე შენგელიას სახელობაზედ. ჩაითვალოს გაუქმებულად. 395—1—1

დავკარგე მე ილარიონ ონისიმეს ძე მხარაძემ პირადობის მოწმობა გაცემული მილიციის სამართველოდგან. ჩაითვალოს გაუქმებულად. 392—1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული ქ. თბილისის მილიციის სამმართველოდგან დავით გიორგის ძე ომარიანცმა. ჩაითვალოს გაუქმებულად. 397—1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული ქ. თბილისის მილიციის სამმართველოდან—სერგო გიორგის ძე ომარიანცმა. ჩაითვალოს გაუქმებულად. 396—1—1

დავკარგე ეკატერინე ხაჩატუროვას სახელზე გაცემული პასპორტი № 10021. ჩაითვალოს გაუქმებულად. 398—1—1

დავკარგე მე-2-ე სოხუმის ლეგიონის მიერ ნადეჟდა სობოლ ვას სახელზე გაცემული პირადობის მოწმობა. ჩაითვალოს გაუქმებულად. 393—1—1

დავკარგე კარაპეტ ოგანესიანცის სახელზე გაცემული სარეგისტრაციო ბარათი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 390—1—1

დავკარგე ივლიანე ბესელიას სახელზე გაცემული პირადობის მოწმობა და შრომის ბირჟის წიგნაკი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 389—1—

დავკარგე ანდრონიკ პეტროსიანცის სახელზე გაცემული საცმელის წმენდის უფლების მოწმობა № 3 ჩაითვალოს გაუქმებულად. 391—1—

დავკარგე პირადობის მოწმობა პელაგია გრიგორის ასული წერიამ. ჩაითვალოს გაუქმებულად. 375—2—

ამიერ-კავკასიის რკ. გზის სამმართველოს ჯანმრთელობის განყოფილება

საჯარო ვაჭრობა.

24 მარტს, დღის 12 საათზე, თბილისის რკინის გზის საავადმყოფოს შენობაში (ანდრეევის ქ. № 101)

დანიშნულია

შერეული საჯარო ვაჭრობა

თბილისის რკინის გზის საავადმყოფოსათვის და სად. თბილისის სურსათის დასამზადებელ პუნქტისათვის 1923 წლის 1 სექტემბრამდე დაახლოვებით 3600 მან. (ოქროთი ომამდე არსებულ მანეთით) ღირებულებით **1080 ფუთი ხორცის და 54 ფ. ქონის** მიწოდებაზე.

საჯარო ვაჭრობა მოხდება დახურულ კონვერტებში ფასების გამოცხადების გზით. მსურველები დაშვებულნი იქნებიან სიტყვიერ ვაჭრობაზედაც. მაგრამ **ის პირები, რომლებიც განცხადებას შემოიტანენ დახურულ კონვერტებში, არავითარ შემთხვევაში არ იქნებიან დაშვებულნი სიტყვიერ ვაჭრობაზე.**

სიტყვიერ ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველებმა საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე უნდა შემოიტანონ განცხადება ვაჭრობაზე დაშვების შესახებ და ამავე დროს უნდა წარმოადგინონ გირაო ან დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ დაწესებულ გირაოს შეტანას.

გირაო წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე იჯარის ანუ მიწოდების ღირებულების 10 პროცენტის რაოდენობით (ოქროთი) მომავალ საჯარო ვაჭრობის დღის კურსით.

განცხადებებში ფასები აღნიშნული უნდა იყოს ოქროთი (ომამდე არსებული მანეთით).

კონდიციები და დაწვრილებითი ცნობები საჯარო ვაჭრობის შესახებ მიიღება ყოველ დღე ჯანმრთელობის განყოფილების სამეურნეო ქვე-განყოფილებაში, გარდა კვირა უქმე დღეებისა, დღის 12-დან 2 საათამდე.

განცხადების მიცემის უკანასკნელი ვადა გადის 24 მარტს, დღის 12 საათზე.

კრ. 257—2—2

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ც.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიული განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.